

შერჩეული ტექსტებითა
და ფოტოებით
Centropa-ს არქივიდან
პედაგოგებისთვის

საქართველოდან და
აზერბაიჯანიდან

TRANS 
HISTORY
A project by  centropa

**კავკასიაში ებრაული
ცხოვრებისა
და კულტურის
შესახებ არსებული
რესურსების კრებული**

Centropa-ს საგანმანათლებლო საქმიანობა კავკასიაში: პროექტი Trans.History	3
კავკასიის ებრაული ისტორია	5
ანტისემიტიზმი, ჰოლოკოსტი და ევაკუაცია აღმოსავლეთში	11
Centropa-ს ისტორიების წარდგენა	12
ისტორიები აზერბაიჯანიდან	13
ამალია ბლანკი	13
გალინა ნატარევიჩი	14
ელენა გლაზი	16
ფაინა მინკოვა	18
სარა ნიკიფორენკო	19
ისტორიები საქართველოდან.	22
ბელა ჭანინა	22
რებეკა ევვინი	23
რიმა ლეიბერტი	26
ფერდინანდ ჩერნოვიჩი	28
ლარისა შიჰმანი	30
დანიელ ბერტრამი	32
მაიერ ტულჩინსკი	36
Imprint	38

Centropa 2020 წლიდან მუშაობს მასწავლებლებისა და სამოქალაქო საზოგადოების აქტორების ინტერდისციპლინურ საგანმანათლებლო პროგრამაში – trans.history, მე-20 საუკუნის ებრაელთა ისტორიისა და საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების პოპულარიზაციის თემაზე. ხოლო, ერთი წლის შემდეგ Centropa-მ აზერბაიჯანშიც დაიწყო საქმიანობა.

პროექტ Trans.History-ის მიზანია პედაგოგებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს, ასწავლოს მათ რეგიონში ებრაული ისტორიისა და მემკვიდრეობის შესახებ. ხოლო, საქართველოსა და აზერბაიჯანში მრავალეთნიკური მემკვიდრეობის განუყოფელ ნაწილად დაამკვიდროს ებრაული ისტორიისა და კულტურის საგანმანათლებლო პროგრამები, ასევე ანტისემიტიზმის პრევენცია. ამჟამად საკმაოდ შეზღუდულია საქართველოსა და აზერბაიჯანის რეგულარული სასკოლო კურიკულუმების ფარგლებში და ასევე მცირე კლასგარეშე აქტივობებში. ეს ნიშნავს, რომ ებრაული ისტორია არ ისწავლება, როგორც ეროვნული ქართული და აზერბაიჯანული ისტორიოგრაფიის განუყოფელი ნაწილი. მრავალსაუკუნოვანი ებრაული ისტორიის მიუხედავად ორივე ქვეყანაში მაინც არის კავშირის შიში და გაუცნობიერებლობა, რაც შეიძლება გახდეს ანტისემიტური ცრურწმენების ჩამოყალიბების ნიადაგი.

ჩვენ საქართველოში creative development center-თან და აზერბაიჯანში resource hub-თან თანამშრომლობით ვმუშაობთ საგანმანათლებლო მასალებზე, რომელიც ეფუძნება პირადი ცხოვრების ისტორიებს და ხელმისაწვდომია უფასოდ, ციფრულ ფორმატში.

ქართველ, აზერბაიჯანელ და გერმანელ მონაწილეებს შორის ცოდნის გადაცემისა და საერთაშორისო გაცვლის გზით ჩვენ შეგვიძლია შევამციროთ წინასწარ შექმნილი

ცუდი წარმოდგენები. აქედან გამომდინარე, Trans.History აწყობს ორ ტრანსნაციონალურ ტრენინგ-სემინარს პედაგოგებისთვის და სამოქალაქო საზოგადოების აქტორებისთვის საქართველოდან, აზერბაიჯანიდან და გერმანიიდან, რომელიც დაფუძნებულია ებრაული ცხოვრების წარსულში და აწმყოში ჩართულობის საფუძვლებს, ხსოვნის დაბალანსებული კულტურის აგებასა და ინოვაციური სასწავლო მასალებით დისკრიმინაციის გამომწვევას.

ჩვენი სემინარები მოიცავს ლექციებს, საქართველოს ებრაული თემების ისტორიასა და კულტურაზე, ექსკურსიას ებრაულ ქუთაისსა და ბაქოში, დისკუსიებს ებრაულ-არაებრაულ ურთიერთობებზე და ებრაული თემების სოციალურ ინტეგრაციაზე საქართველოსა და აზერბაიჯანში. ასევე, ვორქშოფები ჩატარდება ქართველ, აზერბაიჯანელ და გერმანელ მონაწილეებთან ერთად, შესაძლებლობებისა და ცნობიერების ამაღლების შესახებ, რეკომენდაციები კულტურული ჩართულობის სფეროში ხსოვნისა და სამმხრივ ჯგუფურ მუშაობაზე პროექტის ციკლში შექმნილი რესურსების საგანმანათლებლო გარემოში გამოყენების შესახებ. centropa-ს ჩართულობა კავკასიაში ქართველ, გერმანელ და აზერბაიჯანელ მონაწილეებთან ერთად ხდება

სამმხრივი ჯგუფური მუშაობის სახით, დოკუმენტური ფილმისა და პროექტის ციკლის განმავლობაში შექმნილი მასალების გამოყენებით საგანმანათლებლო გარემოში, ექსკურსია საქართველოსა და აზერბაიჯანის ებრაულ დასახლებებში. პროგრამის ფარგლებში centropa და მათი პარტნიორები საქართველოდან და აზერბაიჯანიდან საქართველოსა და აზერბაიჯანში მცხოვრები სტუდენტებისთვის, ციფრული პროექტების შესაქმნელად ატარებენ ახალგაზრდულ კონკურსს თემაზე „ჩემი ქალაქის ებრაული ისტორია“ (ფილმები, გრაფიკული ისტორიები, სოციალური მედიის პროექტები).

Centropa-ს შესახებ

ებრაული ისტორიის დაწესებულება Centropa არის ისტორიკოსების, კინორეჟისორების, ჟურნალისტების და პედაგოგების საერთაშორისო გუნდი, რომელსაც აქვს ოფისები ჰამბურგში, ვენაში, ბუდაპეშტა და ვაშინგტონში.

centropa დაარსდა ვენასა და ბუდაპეშტში 2000 წელს, რომლის შექმნის მიზანიც იყო ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, ბალკანეთში, ბალტიისპირეთსა და ყოფილ საბჭოთა კავშირში ებრაული მოგონებების შენარჩუნება.

ჩვენი მიზანი იყო ათასზე მეტ ხანდაზმულ ებრაელთან გასაუბრება, რომლებიც ჯერ კიდევ ბალტიისპირეთსა და ეგეოსს შორის ცხოვრობენ. 2000-დან 2009 წლამდე, მაშინ როცა მათ შესახებ ისტორიებს ვწერდით, ჩვენ გავაციფრულეთ 25000-ზე მეტი პირადი საოჯახო ფოტო და პერსონალური დოკუმენტი.

მას მერე, centropa მუშაობდა ჩვენს მიერ მოპოვებული ცნობების მაქსიმალურად ფართო აუდიტორიისთვის გაცნობა-გავრცელებაზე. 2005 წლიდან დავინწყეთ თემატური ვებსაიტების, მულტიმედიური ფილმების,

ტურისტული გამოფენების, საგანმანათლებლო პროგრამებისა და ილუსტრირებული წიგნების შექმნა, ეს ყველაფერი ჩვენს არქივზეა დაფუძნებული.

ბოლო წლებია ჩვენ ვქმნით დოკუმენტურ ფილმებს, საფეხმავლო ტურის აპლიკაციებსა და პოდკასტებს. 10 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, Centropa აუმჯობესებს საგანმანათლებლო მასალებს მე-20 საუკუნის ევროპის ებრაელთა ისტორიაზე, რათა გამოიყენოს საგანმანათლებლო გარემოსა და მის ფარგლებს გარეთ (მათ შორის საგანმანათლებლო მულტიმედიური მოკლემეტრაჟიანი ფილმები, გამოფენები, პოდკასტები), ინტერვიუებსა და ფოტო არქივებზე დაყრდნობით.

ჩვენ ჩავატარეთ მასწავლებელთა მომზადების სემინარები და ახალგაზრდული პროექტების კონკურსები ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის 18 ქვეყანაში. ამ პროცესში ჩვენ შევქმენით მასწავლებლების, სამოქალაქო საზოგადოების აქტორებისა და პარტნიორი ორგანიზაციების ფართო ქსელი.



მისიონერების ლოცვა („სუკოტის დღესასწაული“, შალომ კობოშვილის ნახატი, 1938 წ., გუაში ქაღალდზე.

კავკასიის ებრაული ისტორია

შესავალი

საქართველო და აზერბაიჯანი კავკასიაში განსაკუთრებული ებრაული ისტორიის მქონე ქვეყნებია, რომლებიც ისტორიულად მასპინძლობდნენ სხვადასხვა ებრაულ თემებს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო მრავალი საუკუნის განმავლობაში ქართველი ებრაელი თემისთვის განსაკუთრებული სახლი იყო, აზერბაიჯანის მრავალრიცხოვანი ებრაული თემი, წარმოადგენდა მთის ებრაელებს აღმოსავლეთ კავკასიაში მთის ებრაელთა უდიდესი მოსახლეობით. (წარმოადგენდა აღმოსავლეთ კავკასიაში მთის ებრაელთა უდიდეს მოსახლეობას.) მიუხედავად ამისა, ისტორიის მანძილზე ორი ქვეყნის ებრაულ თემს მჭიდრო კავშირი ჰქონდა. საქართველოდან

სხვადასხვა მიზეზებით, მათ შორის ვაჭრობის გამო გადმოსახლებული ქართველი ებრაელები აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში დასახლდნენ და იქ შექმნეს საკუთარი თემი. მთის ებრაელები დღევანდელი აზერბაიჯანის სხვადასხვა კუთხიდან გადმოსახლდნენ თბილისში, საქართველოს დედაქალაქში და ქალაქში საკუთარი ანკლავი შექმნეს. უფრო მეტიც, ორივე ქვეყანას ჰყავს აშკენაზი ებრაული თემები, რომლებიც იქ ერთდროულად გაჩნდნენ მე-19 საუკუნეში, ძირითადად რუსეთის იმპერიიდან. რეგიონში აშკენაზი ებრაელების¹ ჩასვლის ხელშემწყობ ფაქტორებს შორის იყო რუსეთის იმპერიის გაფართოება, შემდგომში რეგიონის საბჭოთა კავშირში

1 აშკენაზი ებრაელები- ევროპელი ებრაელები

განვერსიანება და ქვეყნის შიგნით შიდა მიგრაცია. უნდა აღინიშნოს, რომ მეორე მსოფლიო ომის პერიოდი იყო განსაკუთრებული პერიოდი ეთნიკური უმცირესობისთვის და რეგიონის ებრაელი მოსახლეობისთვის. ომის შედეგად ლტოლვილთა და ევაკუირებულთა შემოდინებამ გამოიწვია აშკენაზური ებრაელთა კიდევ ერთი ტალღის დასახლება კავკასიაში.

მშვიდობიანი მოსახლეობისა და სანარმოების ევაკუაციის პროცესი მეორე მსოფლიო ომის დროს აღმოსავლეთ ფრონტზე მიმდინარეობდა (ომის შემდეგ სსრკ-ში), მათ შორის, სამხრეთ კავკასიის ტერიტორიის – საქართველოსა და აზერბაიჯანის გავლით. ძირითადი ევაკუაციის მარშრუტი გადიოდა საქართველოს შავი ზღვის პორტების - ფოთის, სოხუმისა და ბათუმის გავლით, შემდეგ კი მატარებლებით აღმოსავლეთით, აზერბაიჯანის (ბაქო) და კასპიის ზღვის გავლით ცენტრალურ აზიამდე. შავი ზღვის პორტები ძირითადად გამოიყენებოდა ყირიმის ტერიტორიიდან ევაკუაციისთვის, რაც პირველ რიგში სანარმოების, ქარხნების, კულტურული და საგანმანათლებლო ორგანიზაციებისა და მათი თანამშრომლების ევაკუაციას წარმოადგენდა.

მეორე გზა ჩრდილოეთ კავკასიიდან გადიოდა დაღესტნისა და აზერბაიჯანის, შემდეგ კი კასპიის ზღვისა და შუა აზიის

გავლით. უფრო მეტიც, ევაკუირებული მატარებლები საქართველოს ტერიტორიაზე ჩრდილოეთ კავკასიიდან, პირველ რიგში დაღესტნიდან, აზერბაიჯანის გავლით შედიოდნენ. ხშირად ეს იყო ბესარაბიის, უკრაინისა და ბელორუსის ტერიტორიებიდან ჩრდილოეთ კავკასიაში ევაკუირებული მოსახლეობისა და სანარმოების ხელახალი ევაკუაცია. ლტოლვილთა თვითნებური ჯგუფები საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე კავკასიის მთების გავლით სხვადასხვა გზით ჩავიდნენ.

ევაკუირებულთა მიმართულებები ძალიან განსხვავებული იყო - ნაწილი კავკასიაში გარკვეული პერიოდის გატარების შემდეგ შუა აზიაში გაგზავნეს, ზოგმა ომის ბოლოს დატოვა კავკასია, ნაწილი კი ომის შემდეგ რეგიონში დარჩა. მიუხედავად ამისა, ისრაელის სახელმწიფოს შექმნამ და მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის პოლიტიკურმა მოვლენებმა, მათ შორის საბჭოთა კავშირის დაშლამ და რეგიონში სამხედრო კონფლიქტებმა, განაპირობა ებრაული ცხოვრებისა და ებრაული მოსახლეობის რაოდენობის თანდათანობითი შემცირება კავკასიაში. მთავარი ფაქტორი, რომელმაც ამაზე იმოქმედა, იყო მიგრაცია ისრაელში, სადაც ქართველი და მთის ებრაელები ხშირად ქმნიან საკუთარ თემებს და ინარჩუნებენ საქართველოდან ან აზერბაიჯანიდან ჩამოტანილ ენას და კულტურას.



თბილისი XIX საუკუნეში, ხედი მეტეხის პლატოდან "რიყის" ქუჩამდე 1893 წლის წყალდიდობის დროს, საქართველოს სახელმწიფო არქივი.

საქართველო

ქართველი ებრაელები მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი დიასპორული თემია, რომელიც ძველი წელთაღრიცხვით პირველი საუკუნეებით თარიღდება. ადგილობრივი ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ ებრაელები საქართველოს ტერიტორიაზე ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI-IV საუკუნეებში დასახლდნენ.

XI საუკუნის ქართული მატარებების მიხედვით, როგორცაა "ქართლის ცხოვრება" და წმინდა ნინოს ცხოვრება – პირველი ებრაელები საქართველოში ქართლის ტერიტორიაზე მე-6 საუკუნეში, პირველი ტაძრის დანგრევის დროს, ახალ ერამდე გამოჩნდნენ და დასახლდნენ.

გადმოცემის თანახმად, მცხეთაში (საქართველოს უძველესი დედაქალაქი თბილისიდან დასავლეთით 25 კმ) მცხოვრებმა ებრაელებმა საქართველოშიც ჩამოიტანეს ქრისტიანობა და პირველი ქრისტიანული სინაგოგები, ხოლო მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი, რომელიც ბოლო დრომდე იყო საქართველოს მთავარი საკათედრო ტაძარი, აშენდა გაქრისტიანებული ებრაელი ქალის, სიდონიას გარდაცვალების ადგილზე, იმ მომენტში, როდესაც მისმა ძმამ ქრისტეს კვართი ჩამოაბრძანა საქართველოში.

მიუხედავად ამისა, პირველი მნიშვნელოვანი მტკიცებულება იმისა, რომ ებრაელები ცხოვრობდნენ საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, მცხეთასა და

ურბნისში, მხოლოდ ახალი ეპოქის პირველ საუკუნეებს ეხება. ჯერ კიდევ 1872 წელს (ბაიერნი) და 1938 წელს მცხეთაში სამთავროს უძველესი ნეკროპოლისის არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია 4-5 საუკუნეებით დათარიღებული ახალი ეპოქის ებრაული წარწერებით ორი საფლავის ქვა.

ისტორიულად ებრაული მოსახლეობა საკუთარ ანკლავებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ქმნიდა. მიუხედავად ამისა, ეკონომიკის, საზღვრებისა და ძირითადი სავაჭრო გზების ცვლილების გამო ებრაელმა მოსახლეობამ დატოვა ქვეყნის ზოგიერთი ტერიტორია და კონცენტრირდნენ ძირითად სავაჭრო ცენტრებზე, რომლებიც არსებულ სატრანსპორტო გზების გასწვრივ იყო განლაგებული.

მე-19 და მე-20 საუკუნეების პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე ქართველი ებრაული მოსახლეობის გარდა, აშკენაზური და მთის ებრაული თემები დასახლდნენ.

1801 წლისთვის, როდესაც საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა, ქართველი ებრაელები უკვე წარმოადგენდნენ ქართული საზოგადოების განუყოფელ ნაწილს, საკუთარი ნიშით, როგორც ვაჭრები ქვეყნის ეკონომიკაში თავიანთი უნიკალური კულტურითა და ტრადიციებით. საქართველოს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შეერთებამ გამოიწვია იმპერიის სხვა კუთხიდან



თბილისის ქართველი ებრაელები, 1803 წელს (წყარო: Wikimedia Commons)

აშკენაზი ებრაელების თანდათან გადმოსახლება. პარალელურად, რუსეთის კანონმდებლობა, რომელიც ზღუდავდა ებრაელების უფლებებს, საქართველოს ტერიტორიაზეც გავრცელდა. დადგინდა, რომ ქართველი ებრაელები იყვნენ აკულტურირებულნი, მაგრამ არა ასიმილირებულნი საქართველოში. მათ არ ქონდათ ცალკეული ენა, როგორცაა იდიში² ან ლადინო³, მაგრამ ლაპარაკობდნენ (და ახლაც საუბრობენ) ქართულად.

² იდიში ენა, მრავალი გერმანული ენიდან ერთ-ერთი, რომელიც ინდოევროპული ენების ოჯახის განშტოებას ქმნის. იდიში არის აშკენაზიის, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ებრაელების და მათი შთამომავლების ენა
³ ლადინო ენა, რომელსაც ასევე უწოდებენ იუდეო-ესპანურს, არის რომანული ენა, რომელსაც ლაპარაკობენ სეფარდი ებრაელები, რომლებიც ძირითადად ცხოვრობენ ისრაელში, ბალკანეთში, ჩრდილოეთ აფრიკაში, საბერძნეთსა და თურქეთში



ნეფტჩილერის გამზირი ბაქოში, 1918-1920 წლები (წყარო: Wikimedia Commons)

აზერბაიჯანი

აზერბაიჯანის ებრაული კულტურისა და ისტორიის მთავარი ცენტრებია კუბა, ვართაშენი, შირვანი და ასევე ბაქო. ისტორიულად, აზერბაიჯანის უძველესი და მრავალრიცხოვანი ებრაული თემი, მთის ებრაელები არიან. თუმცა, აქ გვხვდება XIX-XX საუკუნეებში დასახლებული აშკენაზიურ და ქართველ ებრაული თემებიც.

აზერბაიჯანის მთის ებრაული თემის დიდი ნაწილი ცხოვრობს კრასნაია სლობოდას დასახლებაში, რომელიც ქალაქ ქუბას ნაწილია ჩრდილოეთ აზერბაიჯანში და თარიღდება მე-18 საუკუნით. ქალაქი კუბა მდებარეობს დიდ სავაჭრო გზაზე მთებსა და ხეობას შორის, ნაყოფიერი აგრარული ზონის შუაგულში. მას მდინარე ორ ნაწილად ყოფს: მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობს მუსლიმური ქალაქი, ხოლო მარცხენა სანაპიროზე ებრაული გარეუბანი, რომელსაც 1926 წლიდან დაერქვა კრასნაია სლობოდა (Krasnaya Sloboda), რაც ნიშნავს წითელ გარეუბანს. (კრასნაია სლობოდა ცალკეული, ძირითადად ერთეროვნული დასახლებაა და მისი უნიკალურობა სწორედ ამას წარმოადგენს. ისტორიულად, დასახლებაში მხოლოდ მთის ებრაელები ცხოვრობდნენ, რომელთა მაცხოვრებლებსა და კუბას მცხოვრებლებს შორის კონტაქტი თითქმის არ).

არ არის ცნობილი, როდის ჩამოსახლდნენ ებრაელები

ქუბაში, თუმცა კრასნაია სლობოდა, როგორც ცალკე დასახლება გაჩნდა მე-18 საუკუნეში, როდესაც ქუბას ხანებმა დაიწყეს ებრაელების პატრონაჟი. ებრაელები აქ მეზობელი სოფლებიდან და ქალაქებიდან დასახლდნენ, და ისინი აქ საკუთარ უბნებს, მახალას ქმნიდნენ, საკუთარი რამდენიმე სინაგოგით. ადგილობრივებმა დღემდე ზუსტად იციან, რომელი უბნიდან იყვნენ, რადგან სწორედ უბანი განსაზღვრავდა მათ საქმიანობას. მაგალითად, მთის გლეხების შთამომავლები სოფლის მეურნეობით იყვნენ დაკავებული, ხოლო სპარსეთიდან ჩამოსულები, ვაჭრობით. მე-19 საუკუნის შუა წლებში – მე-20 საუკუნის დასაწყისში კრასნაია სლობოდა იყო ყველაზე დიდი დასახლება მთის ებრაელების აღმოსავლეთ კავკასიასა და აზერბაიჯანში, რომლის მოსახლეობაც ამ პერიოდში 5000-დან 8500-მდე გაიზარდა.

ოგუზი (წინად ცნობილი როგორც ვართაშენი) ბაქო-თბილისის მთავარ გზაზე მდებარეობს და აქ საკმაოდ დიდი ებრაული თემი ცხოვრობდა. ებრაული მოსახლეობა აქ მე-17 საუკუნის ბოლოს დასახლდა და ისინი სპარსეთიდან ჩამოვიდნენ. მე-19 საუკუნისთვის ებრაული მოსახლეობა მთლიანი მოსახლეობის მესამედს შეადგენდა ქალაქში. მე-19 საუკუნის ბოლოს ებრაული მოსახლეობა 2200 ადამიანს ითვლიდა. მე-20 საუკუნის დასაწყისში, ებრაული მოსახლეობა საკმაოდ შემცირდა დიდ ქალაქებში მიგრაციის გამო. სხვა ქალაქებთან

ერთად, ებრაელები გადასახლდნენ თბილისში, რადგან ამ დროს თბილისი ბევრი კულტურის მიზიდულობის ცენტრი იყო.

ბაქოს ებრაული თემიც მე-18 საუკუნით თარიღდება. ქალაქის ჩრდილოეთით შეიქმნა ებრაული ანკლავი. ეს იყო პატარა საზოგადოება, რომელიც თითქმის გაქრა 1820-იან წლებში სისხლიანი ცილისწამების შემდეგ. 1920 წლისთვის ქალაქის ებრაული მოსახლეობა შეადგენდა დაახლოებით 13700 ადამიანს, რომელთა 10% მთის ებრაელები იყვნენ.

1959 წელს, ბაქოში ებრაელთა აღწერის შედეგად 29716 ებრაული აღმოჩნდა, უმეტესად იყვნენ აშკენაზი მთის ებრაელები, ქართველი ებრაელები უმცირესობათა ჯგუფს წარმოადგენდა.

უნდა აღინიშნოს, რომ მთის ებრაელები, რომლებიც ისტორიულად შეადგენდნენ აზერბაიჯანის ებრაული მოსახლეობის უმრავლესობას, ცალკე ჯგუფია, რომელიც

განსხვავდება როგორც აშქენაზური, ასევე ქართველი ებრაელებისგან. ეს ჯგუფი კავკასიის რეგიონში სპარსეთიდან ჩამოვიდა და მუსლიმურ კულტურასთან ხანგრძლივი თანაარსებობის გამო, მას ბევრი მუსლიმური გავლენა ქონდა. მთის ებრაელები საუბრობენ ჯუჰური(-juhuri) ან იუდეო(judeo-tat) ენაზე, რომელსაც მსგავსება აქვს სპარსულთან.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ებრაელები და მთის ებრაელები განცალკევებული ჯგუფებია და ერთმანეთისგან სრულიად განსხვავდებიან, არსებობს მთელი რიგი თვისებები, რომლებიც საინტერესოს ხდის ამ ჯგუფების ერთმანეთთან შედარებას. ადგილობრივი არაებრაული კულტურისა და ტრადიციების გავლენა, უფრო ტრადიციული და ნაკლებად სეკულარიზებული ცხოვრების წესი და ძლიერი სათემო კავშირები დამახასიათებელია ორივე ჯგუფისთვის, რაც მათ განასხვავებს მე-19-მე-20 საუკუნეებში რეგიონში შემოსული აშკენაზი ებრაელებისგან.



გაკვეთილი ჩატარდა კუბას დაწყებით მთის ებრაულ სკოლაში, 1920-იანი წლების დასაწყისში (წყარო: Wikimedia Commons, A. Naor, eleven.co.il)



კავკასიელი ებრაელები ჩოხასთან ერთად, გადაღებული რაულ ვოდესის მიერ (წყარო: NYPL Digital Gallery / Wikimedia Commons)

ანტისემიტიზმი, ჰოლოკოსტი და ევაკუაცია აღმოსავლეთში

როდესაც ნაცისტები აირჩიეს გერმანიის ხელისუფლებაში 1933 წელს, მათი იდეოლოგიიდან გამომდინარე, ებრაელებს ადანაშაულებდნენ გერმანიის შეცდომებსა და ცუდ ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაში, პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხების შემდეგ.

ანტისემიტიზმის ეს ზრდა არ იყო ახალი: დიდი ხნის განმავლობაში ებრაელებს ადანაშაულებდნენ დაავადებების გავრცელებაში, საზოგადოებაში არსებულ სოციალურ დისბალანსსა და ქრისტიანების მკვლელობაში.

საუკუნეების მანძილზე კათოლიკური ეკლესიაც ებრაელებს ბრალს სდებდა იესოს მკვლელობაში, ხოლო ნაცისტები ძალაუფლების ქონაში. მათ სძულდათ საბჭოთა კავშირი, რადგან სჯეროდათ, რომ მას ებრაელები აკონტროლებდნენ, მორწმუნე ებრაელები კი "ბინძური კაპიტალისტები" იყვნენ.

1939 წლის 1 სექტემბერს გერმანიის შეიარაღებული ძალები და SS შეიჭრა პოლონეთში. პირველ რიგში, გერმანიის ხელისუფლებამ განაცალკევა ებრაელები. მათ უნდა კეთებოდათ ყვითელი ვარსკვლავი, რომელიც მათ ებრაელობას აღნიშნავდა. 1940 წელს ებრაელებს მოუწიათ გეტოში გადასახლება, სადაც არაადამიანურ პირობებში ცხოვრობდნენ.

1941 წლის 22 ივნისს საბჭოთა კავშირში შეჭრის შემდეგ, გერმანელებმა დაიწყეს ჰოლოკოსტის უფრო ფართო მასშტაბის ორგანიზება. დაიწყო პოლონელი ებრაელებისა და სხვა ებრაელების დეპორტაცია დასავლეთ ევროპიდან საკონცენტრაციო ბანაკებში. მათ მოსაკლავად იყენებდნენ მანქანის ძრავის გამონაბოლქვს, შემდეგ კი zyklon b-ს. ყოფილი საბჭოთა კავშირის შემოჭრილ და ოკუპირებულ რაიონებში ჰოლოკოსტი განსხვავებული იყო. ვერმახტის საბრძოლო ნაწილებს თან ახლდა და მხარს უჭერდა SS-ის გამანადგურებელი რაზმები, ადგილობრივი პოლიცია და გერმანიის

უსაფრთხოების ძალები, რომელთა მისია იყო ყველა ებრაელის მოკვლა, განურჩევლად მათი ასაკისა და სქესისა.

ებრაელთა უმეტესობა დახვრიტეს გერმანელებმა და მათმა მოკავშირეებმა სხვადასხვა ქალაქებიდან და სოფლებიდან, სადაც ისინი ომამდე ცხოვრობდნენ. დანარჩენები ჩრდილოეთ კავკასიის ასობით ადგილას გაზის ფურგონებში მოკლეს.

რამდენიმე ათასი ებრაელი დასავლეთ და ცენტრალური ევროპიდან დაადეპორტეს ქალაქ მინსკში, კაუნასში, რიგაში და ესტონეთში. იქ ისინი გერმანელებმა და მათმა ადგილობრივმა თანამშრომლებმა მოკლეს.

გერმანიის შემოსევიდან მალევე განისაზღვრა ხალხის ევაკუაციისა და თავშესაფრის გეგმა. ევაკუაციაში პრიორიტეტი მიენიჭა ევაკუირებული ქარხნების მუშებს, ბავშვებს, წითელი არმიის, სახელმწიფო უსაფრთხოების მეთაურების და სამხედრო მოსამსახურეების ოჯახებს.

მანამდეც კი, სანამ გერმანელები ჩავიდოდნენ ისეთ რეგიონებში, როგორებიცაა დასავლეთ უკრაინა, ლიტვა და ლატვია, ადგილობრივმა თანამშრომლებმა ხელი შეუშალა გაქცეულებს გაქცევაში და გზების გადაკეტვით ისინი სახლში დააბრუნეს.

გადარჩენის ყველაზე დიდი შანსი ჰქონდათ მათ, ვინც მატარებელში მოხვდა. ეს მატარებლები მიემართებოდნენ აღმოსავლეთს გერმანელი სამხედროებისა და SS-ის მუდმივი ცეცხლის ქვეშ. საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთით ევაკუირებული იქნა 17 მილიონამდე მოქალაქე, მათ შორის 1,2-დან 1,4 მილიონამდე ებრაელი.

ამის მიუხედავად, არ არსებობდა ოფიციალური საბჭოთა პოლიტიკა ებრაელების გადასარჩენად. ეს უფრო ხშირად იმის შედეგი იყო, რომ ებრაელები ხვდებოდნენ მათთვის მოსალოდნელ საშიშროებას, მათ ქონდათ ინფორმაცია თუ რა მდგომარეობაში ოიყვნენ ებრაელები ნაცისტების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ამიტომ, ბევრმა გაქცევა დამოუკიდებლად დაიწყო. კავკასია, ცენტრალური აზია, ურალი და ციმბირი გახდა სამოქალაქო ფრენის ან ევაკუაციის ადგილი, მათ შორის იყვნენ ბევრი ებრაელი საბჭოთა უკრაინიდან და ბელორუსიიდან, რომლებიც ევაკუირებულნი იყვნენ ძირითადად კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში.

პორტუგალია

2000-დან 2009 წლამდე centropa-მ გამოკითხა 1230 ხანდაზმული ებრაელი, რომლებიც ჯერ კიდევ ცხოვრობდნენ ბალტიის, ეგეოსისა და კავკასიის 15 ქვეყანაში. centropa-ს არ არ ჩაუტარებია კვლევა ჩრდილოეთ ამერიკაში, ისრაელში ან ევროპულ-ებრაული იმიგრაციის სხვა ცენტრებში. მიზანი იყო ებრაული მეხსიერების მონაცემთა ბაზის შექმნა, რომელიც მთლიანად დაფუძნებული იქნებოდა იმ ებრაელთა ისტორიებზე, რომლებიც დარჩნენ რეგიონში.

ჩვენმა ინტერვიუებმა უამრავი დრო დაუთმეს თითოეულ რესპონდენტთან მუშაობას, რადგანაც გვინდოდა ისტორიების გაგება მთელი მათი ცხოვრების შესახებ. დაწყებული 1920-იან წლებიდან, ისტორიებით რომლებზეც ისინი გაიზარდნენ, დამთავრებული 2000-იანი წლებით, მათი შვილიშვილების ისტორიებით. centropa-ს მიერ ჩატარებული ყველა ინტერვიუ ჩაწერილია აუდიო ფირზე, გაციფრული და გადაწერილია.

ჩვენ ვთარგმნეთ ათასზე მეტი ინტერვიუ ინგლისურად ხოლო 240 ინტერვიუ ხელმისაწვდომია უნგრულ ან გერმანულ ენებზე. დანარჩენი კი პოლონურ, რუსულ, სერბულ, რუმინულ, ბულგარულ, თურქულ, პოლონურ და სხვა ენებზეა დაწერილი.

ყველა სურათს აქვს თავისი ისტორია და დეტალური აღწერა წინაპრების, მათი პროფესიების, სკოლების, ყოველდღიურობისა და ბავშვობის პერიოდის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ჰოლოკოსტის დროს მიღებული გამოცდილებაა ჩაწერილი, მთავარი აქცენტი კეთდება მეორე მსოფლიო ომამდე და მის შემდეგ პერიოდზე.

centropa ინვესტირებს ისტორიკოსებსა და კურსდამთავრებულებს დასახმარებლად ორიგინალიდან სიტყვა-სიტყვით გადაწერაზე ან აუდიო ფაილების მოსასმენად, როგორც 2005 წლიდან მოყოლებული 34 მაგისტრანტმა და დოქტორანტმა გააკეთა

ამალია ბლანკი

[→ centropa.org/en/biography/amalia-blank](http://centropa.org/en/biography/amalia-blank)

ამალია დაიბადა გეჟოვში, პოლონეთში, 1910 წელს. ბავშვობაში პოლონეთიდან და მისი პოგრომებისგან გაქცევის შემდეგ, ის გაიზარდა ბერლინში, სანამ ემიგრაციაში დაბრუნდა სსრკ-ში თეატრალურ სკოლაში სასწავლებლად. იქ ყოფნისას იგი დაქორწინდა და ქმართან ერთად აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში ებრაულ თეატრში დასაქმდა. ომის დროს ისინი იძულებულნი გახდნენ ევაკუირებულიყვნენ და ეცხოვრათ სხვადასხვა ადგილას, სადაც მუშაობდა მსახიობად და მასწავლებლად. 1976 წელს ამალია ტალინში გადავიდა, სადაც გაიცნო თავისი მეორე ქმარი, ბორისი.

“ ეს მე ვარ ბაქოს ებრაულ თეატრში, სპექტაკლის დროს. ვთამაშობ ბიჭი იოსელეს როლს, ამავე სახელწოდების სპექტაკლში. ფოტო გადაღებულია 1936 წელს. მაშინვე ჩავაბარე სკოლის მე-2 კურსზე, ასე რომ მხოლოდ სამი წელი ვისწავლე. 1936 წელს უნდა დამემთავებინდა და ამელო დიპლომი. ორი ნაწილი მქონდა: ლაურენსია “ცხვრის ნახტომში” და რამდენიმე ნაწილი, თანამედროვე მსახიობის ერთმ მოქმედებანი პიესებიდან. რა მშვენიერი კომბინაციაა ლაურენცია და ტროლოპი.

საბჭოს უნდა შეეფასებინა გამოსაშვები სამუშაო და სწორედ მათი განხილვის შემდეგ უნდა მიგველო სავალდებულო სამუშაო დავალება. ბოლოს დირექტორის კაბინეტში დამიბარეს. იქ მიხილეს და საბჭოს სხვა წევრები ისხდნენ. ვიღაცამ კომისიიდან თქვა, რომ ჩემი სავალდებულო დავალება იყო მოსკოვის ებრაულ თეატრში. არ დავთანხმდი, ვუთხარი, უმცროსი რომ ვყოფილიყავი მივესალმებოდი, სადაც ერთი-ორი წელი ვითამაშებდი, ორ ფრაზიან პატარა მონაკვეთებში მანამ რეალური როლი არ მექნებოდარე და დავბერდებოდი კიდევ. თუმცა მე 26 წლის ვიყავი..

მადლობა გადავუხადე გამგეობას ჩემი შრომის შეფასებისთვის და ვთხოვე გავეგზავნე, რომელიმე ქალაქში, თუნდაც პროვინციულ თეატრში, სადაც



ამალია ბლანკი, 1936 წ (წყარო: Centropa)

მთავარ როლებში ან სხვა მნიშვნელოვან მონაკვეთებში ვითამაშებდი. სადაც მექნებოდა შანსი, მეცადა, შეცდომებზე მესწავლა და ნამდვილი მსახიობი გავმხდარიყავი. მიხილეს გაჩუმდა. მას უარის თქმა არ შეეძლო რადგანაც მართალი ვიყავი.

საბჭოთა კავშირში სულ 13 ებრაული თეატრი იყო და მე აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში, ებრაულ თეატრში გამიშვეს. იგივე სავალდებულო სამუშაოს შესრულება ჩემმა ქმარმაც სთხოვა.. ორივე წავედით: დამწყები პროდიუსერი და დამწყები მსახიობი. ჩვენი საერთო დებიუტი ბაქოს თეატრში შედგა. მე ვითამაშე მთავარი როლი, ბიჭი იოსელე, ამ სპექტაკლში, რომელსაც ასევე “იოსელე” ერქვა. ეს იყო ამაღელვებელი დრამა ღარიბი ბიჭის ცხოვრებაზე, ღარიბი ებრაული ქალაქიდან. ამ

ნარმატებული სპექტაკლის შემდეგ, ჩემმა ქმარმა მითხრა, რომ ისეთი ნიჭი მქონდა, რომ თეატრში მისი დახმარების გარეშე შემეძლო მემუშავა, რათა არავის დაებრალებინა, რომ პროდიუსერის ცოლი ვიყავი და პრივილეგიურებულად მექცეოდნენ. ასე რომ, ამის

შემდეგ ის აღარ მაძლევდა როლებს. მას სურდა, ჩემი შესაძლებლობები გამოემჩინა, რათა სხვა პროდიუსერებს ვენახე და შემოეთავაზებინათ მათთან მუშაობა. მივხვდი, რომ მართალი იყო. ამ გადაწყვეტილებამ აღმოფხვრა ყველანაირი ინტრიგა ჩვენთან დაკავშირებით.

გალინა ნატარევიჩი

→ centropa.org/en/biography/galina-natarevich

გალინა დაიბადა 1941 წელს მოლოტოვის (ახლანდელი პერმის) ევაკუაციის დროს. იგი დედამ მარტომ გაზარდა, რომელიც იყო ცნობილი ბალეტის მოცეკვავე ბაქოდან, რადგან მამამისი 1943 წელს ფრონტზე დაიღუპა. 1967 წელს იგი მხატვარზე დაქორწინდა, ხოლო 1971 წელს ერთი ვაჟი შეეძინა.

“ეს არის ჩემი ბაბუა, იოსიფ ლაზარევიჩ რაიციხი, საქმროს როლში მუნჯურ ფილმში „ღვთის სახელით“. ფილმი გადაღებულია 1926 წელს, ბაქოში.

იოსიფ ლაზარევიჩ რაიციხი, დაიბადა 1885 წელს ასტრახანში. ეს არის რეგიონი კასპიის ზღვაზე, ბაქოსთან ახლოს. ვინაიდან იმპერიულ ჯარში მსახურობის სტანდარტული ვადა 25 წელი იყო. მას როგორც ნიკოლაის ჯარისკაცის შვილიშვილს, გადაუვადეს სამხედრო სამსახური, რადგანაც სარგებლობდა მრავალი პრივილეგიით.

22 წლის ასაკში იოსიფმა დაამთავრა ალექსანდრე ივანოვის სახელობის გიმნაზია, ბაქოში. თუმცა, მას გარკვეული ძალისხმევა დასჭირდა დამთავრებისთვის, რადგანაც იქ მრავალი პრობლემა შეექმნა. ერთხელ მან იკითხა, თუ რატომ მიიღო იმაზე დაბალი ნიშანი, ვიდრე რეალურად იმსახურებდა და უთხრეს, რომ ის იყო სისხლიანი იდი.

იგი გააძევეს სასწავლებლიდან და წავიდა ტფილისში (დღევანდელი თბილისი, საქართველო), ქართველ ჰერცოგთან, რომელიც კურირებდა იმ რეგიონის მთელ განათლებას სისტემას, რათა ეთხოვა, შეეტანა განცხადება გიმნაზიაში აღდგენის შესახებ. მას ბევრი გამოცდის ჩაბარება მოუწია, როგორც ექსტერნატორს, ის არ დასწრებია ლექციებს. ამიტომ მისი განათლების მიღება დროში გაიწელა.

თუმცა, 1907-08 წლებში ყველა ეს პრობლემა მოგვარდა. გიმნაზია დაამთავრა და საზღვარგარეთ წასვლის

უფლებაც კი მისცეს, სადაც უნივერსიტეტში განათლების მიღების იმედი ჰქონდა. ბაქოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა მისი წასვლა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ხელი მოაწერა შესაბამის ცნობას იდიში ენაზე, რისთვისაც მაშინ 75 კაპიკი უნდა გადაეხადა.

1908 წელს იოსიფი ჩაირიცხა მიუნხენის უნივერსიტეტში. დაამთავრა ამ უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი, მიუნხენის გარდა ესწრებოდა ლექციებს სხვა უნივერსიტეტებში, კერძოდ, ჰალეს და ბერლინის უნივერსიტეტში. სხვა ლექციებთან ერთად ის ესწრებოდა სამედიცინო წრეში ცნობილი მეცნიერის, პროფესორ ვირჰოფის ლექციებს. იოსიფის ნაშრომი დაწერილი და გამოქვეყნებული იყო გერმანულ ენაზე, რომელიც მან კარგად იცოდა. მიუხედავად იმისა, რომ მან მიიღო კარგი განათლება ევროპულ უნივერსიტეტში, იოსიფი მიუნხენიდან დაბრუნდა პეტროგრადში, სადაც მას სამედიცინო მომსახურების განევა დაავალეს პრინც ოლდენბურსკის საავადმყოფოში.

1917 წელს, პეტროგრადში იქორწინა სარა იანკელევნა შამუშზე და მასთან ერთად გაემგზავრა ბაქოში. შემდეგ ის წავიდა ხარკოვში გამოცდების ჩასაბარებლად, ექიმის ხარისხის მისაღებად. მოგვიანებით ხარკოვში თერაპევტის წოდება მიიღო და ბაქოში დაბრუნდა. იქ იოსიფი ზედამხედველობდა სასაქონლო საწყობებს, ასრულებდა სანიტარიული ექიმის მოვალეობებს, ამონებდა საქონელს, რომლებიც გადაჰქონდათ ბაქოდან რაიმე ინფექციის გამო. ცოლთან ერთად ხანდახან დადიოდა სპარსეთში. ბაფხულში, როგორც წესი, იოსიფი



იოსიფ ლაზარევიჩ რაიციხი 1926 წელს (წყარო: Centropa)

სამედიცინო პრაქტიკისთვის მიდიოდა აზერბაიჯანსა და ხასავურტში (ჩრდილოეთ კავკასიაში).

სანიტარიულ ექიმად მუშაობის პარალელურად ევალეობდა პაციენტების მიღება. ვინაიდან ის თერაპევტი იყო, მასთან მოდიოდნენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები. ბაბუა საუბრობდა აზერბაიჯანულად და სომხურად. აზერბაიჯანელებს (რომლებიც არიან მუსლიმები), ისევე როგორც ებრაელებს, ეკრძალებათ ღორის ხორცის ჭამა. მიუხედავად იმისა რომ იმ პერიოდში წამლები არ იყო და პაციენტებს შორის იყვნენ ტუბერკულოზით დაავადებულები, მკურნალობისთვის საჭირო იყო ავადმყოფებისთვის ცხიმიანი საკვების მიცემა. სწორედ ამიტომ, ბაბუა ჩუმად აკეთებდა ღორის ხორცისგან ბურთულებს და აძლევდა მათ როგორც წამალს. ბაბუა ამ მეთოდით ცდილობდა მკურნალობას, თუმცა ამის გამო თავს ცუდად გრძობდა. საბოლოოდ, პაციენტის გამოჯანმრთელების შემდეგ, ის გამოტყდა ტყუილში.

სიმსუქნის მიუხედავად, ბაბუა იოსები ძალიან მოძრავი კაცი იყო. ის საკმაოდ მოქნილად და მოხდენილად ცეკვავდა. მასბაქოში ბევრი ადამიანი იცნობდა, არა

მხოლოდ როგორც სრულყოფილ ექიმს, არამედ როგორც თანდაყოლილი არტისტული ნიჭის მქონე ადამიანს. გასაკვირი არ არის, რომ იგი მიიწვიეს მხატვრული ფილმში გადასაღებად.

ფილმებს მაშინ ჩუმად იღებდნენ. 1926 წელს მუნჯურ ფილმში სახელად „ღვთის სახელით“ მან საქმროს როლი შეასრულა. ასევე, ლენინგრადში გადასვლის შემდეგ, ომამდე, ითამაშა ორ ფილმში: „პეტრე პირველი“ და „გოგონა მიემგზავრება პაემანზე“.

მთელი ცხოვრების განმავლობაში ბაბუა ძალიან მორწმუნე კაცი იყო. 1922 წელს ბაქოში ოფიციალურად საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ყველა წეს-ჩვეულების დაცვა - როგორცაა პესაჩისა და რომ ჰაშანას აღნიშვნა - ნებადართული იყო, მაგრამ უნდა მომხდარიყო კერძო, ვინმეს ბინაში. ასევე ნებადართული იყო სინაგოგაში შესვლა. მაგრამ ეს არ იყო წახალისებული. კარგად მახსოვს, ბაბუა ლოცვისას აბრეშუმის ქუდს, ყიფას იხურავდა. ყოველდღიურ ცხოვრებაში მას არ ეცვა კიპა, რამდენადაც მახსოვს, რადგან ეს მის ებრაელობას გაუსვამდა ხაზს. ის იყო ექიმი და მუშაობდა ათეისტებში”

ელენა გლაზი

→ centropa.org/en/biography/elena-glaz

დედისერთა ელენა გლაზი, 1930 წელს დაიბადა ლენინგრადში, რუსეთში. ომის დროს დედასთან ერთად გადავიდა უზბეკეთის დედაქალაქ ტაშკენტში, თუმცა ისინი 1943 წელს ისევ დაბრუნდნენ ლენინგრადში. მისი ოჯახი რჩებოდა სეკულარული რწმენით, მაგრამ სრულად ემორჩილებოდა სტალინის კომუნიზმის დებულებებს. სკოლის დამთავრების შემდეგ ელენა ინჟინერი გახდა და 1974 წელს იქორწინა.

ჩემი ბაბუა, მამის მხრიდან, ემანუელ ეფიმოვიჩ გლაზი, მეღვინე იყო. ის აწარმოებდა ღვინოს, კონიაკს, და შამპანურს. იტალიაში მის მიერ წარმოებული შამპანიური ოქროს მედლით დაჯილდოვდა.

მას არ ჰქონდა საკუთარი უძრავი ქონება, ამის გამო მუშაობდა დაქირავებულ მეღვინედ გერმანელი კოლონისტების სოფელ დიუსელდორფში, რომელიც აზერბაიჯანის ქალაქ გიანჯადან ოცდაათი კილომეტრით იყო დაშორებული. [1804 წლამდე და 1918-1935 წლებში ერქვა გიანჯა, 1804-1918 წლებში – ელიზავეტპოლი (როდესაც აზერბაიჯანის ჩრდილოეთი ნაწილი რუსეთის შემადგენლობაში შევიდა), 1935 წლიდან კიროვობადი, ახლა – გიანჯა];

დიუსელდორფში მის ოჯახს ჰქონდა ნაქირავები დიდი სახლი, ვენახი და დიდი მეურნეობა: ქათმები, ბატები, ბატკნები. ბაბუას ოჯახი საკმაოდ დიდი იყო, ყავდა შვიდი შვილი: 3 ბიჭი და 4 გოგონა. დაახლოებით 1931 წელს ბაბუამ ლენინგრადში გაუშვა მისი ვაჟიშვილი-მამაჩემი, რომელსაც თან მის მიერ წარმოებული უამრავი ღვინო გამოატანა. მისი ღვინის ბოლო ბოთლი 1974 წელს დავლიეთ, ჩემს ქორწილში.

“ბაბუამ ჩვენთან ორი წელი იცხოვრა, 62 წლის ასაკში გარდაიცვალა და ფერისცვალების სასაფლაოზე დაკრძალეს. იმ დროს 3 წლის ვიყავი. მამაჩემმა მითხრა, რომ ბაბუას ძალიან ვუყვარდი. რაც შეეხება ბებიაჩემს ის დიასახლისი, ნახევრად წერა-კითხვის მცოდნე ქალი



ემანუელ ეფიმოვიჩ გლაზი 1926 წელს (წყარო: Centropa)

იყო. როგორც მასხოვს, ელკა ერქვა. ამბობდნენ, რომ რევოლუციის შემდეგ ის და ბაბუა სადღაც მატარებლით მიდიოდნენ, გზად ბებია ტიფით დაავადდა, ერთ სადგურზე მატარებლიდან ჩამოიყვანეს და იქვე გარდაიცვალა” მამაჩემი იოსები დაიბადა 1892 წელს დიუსელდორფში.

მან დაამთავრა საშუალო სკოლა (არა ებრაული) და, რაც არ უნდა უცნაური იყოს, მღეროდა მართლმადიდებლური ეკლესიის გუნდში.რუსეთში მცხოვრებ ებრაელებს განსაკუთრებით კავკასიის რეგიონიდან, უჭირდა ინსტიტუტში ჩაბარება. ამის გამო, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, მამა წავიდა ბერლინში და 1911 წელს ჩაირიცხა იქ სამედიცინო ინსტიტუტში.

ვინაიდან, ბაბუას დიდი ოჯახი ქონდა, რომელსაც ძლივს არჩენდა, მამაჩემს საცხოვრებლის და სასწავლებლის გადასახადის გადახდა თავად უწევდა. მუშაობდა ბარმენა და ლუდს ყიდიდა.

სამწუხაროდ, მამაჩემმა გერმანიაში სწავლა ვერ დაასრულა. 1914 წელს, როგორც ყველასთვის ცნობილია, დაიწყო პირველი მსოფლიო ომი და რუსეთის ყველა მოქალაქე გააძევეს გერმანიიდან.

.მამაჩემი ჩავიდა კიევში და ჩაირიცხა კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. უნივერსიტეტი დაამთავრა 1917 წელს. სწორედ იმ უნივერსიტეტში გაიცნო დედაჩემი.

როგორც მითხრეს, მათ შვიდი შვილი ყავდათ. უფროსი ქალიშვილი ევა, რომელიც დაქორწინდა კაცზე, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში ოკეანეში მიმავალ გემებზე კაპიტანი იყო, შემდეგ კი მეღვინე გახდა.ის ომის შემდეგ კიშინიევში მთავარი მეღვინე იყო და იყენებდა ბაბუის რეცეპტებს, რომელიც ჩემთვის გაუგებარი მეთოდით მოხვედრილიყო მის ხელში.

მეორე ქალიშვილი იდა მთელი ცხოვრება გიანჯაში ცხოვრობდა და ფოსტაში ტელეგრაფისტად მუშაობდა. მას ორი ვაჟი ჰყავდა. უმცროს ვაჟი რუდოლფი, რომელიც საყვირზე უკრავდა და უფროსი ბორისი. როგორც გავიგე, ბორისი ყაჩალი იყო. რაც შეეხება იდას, არ ვიცი ყავდა თუ არა ქმარი, რუდოლფმა კი, რომელიც რამდენჯერმე მესტუმრა, არასდროს უხსენებია მამა. სავარაუდოდ, მან იდა და ბავშვები მიატოვა.

მესამე ქალიშვილი ადელი ძალიან ადრე, 18 წლის ასაკში დაქორწინა. ის ბავშვის გაჩენა გადაყვა. ხოლო მის ქალიშვილი, რომელსაც ასევე ადელი დაარქვეს, თავშესაფრით უზრუნველყო როზამ, ბებიისა და ბაბუის უმცროსმა ქალიშვილმა.

როზამ საშუალო სკოლა დაამთავრა და ტაშკენტის სამთავრობო პოლიკლინიკაში სტომატოლოგად მუშაობდა. როგორც ვიცი, მან როდესაც წაიყვანა ადელი, ის თავად ორსულად იყო და მალე შეეძინა ვაჟი ევგენი. იგი ოთხმოცი წლის ასაკში გარდაიცვალა.

უფროსმა ვაჟმა ეფიმ წარჩინებით დაამთავრა რომის პოლიტექნიკური ინსტიტუტი. შემდეგ ის ბაქოში ცხოვრობდა და მთელი ცხოვრების მანძილზე ბაქოს ნავთობის საბადოებში მექანიკოსად მუშაობდა. ეფიმი თავისუფლად საუბრობდა, კითხულობდა და წერდა ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

უმცროს ვაჟს ალექსანდრეს პატარა ასაკში უყვარდა მეგობრებთან ერთად მთაში სიარული და ქაბაბის და მწვადის შეწვა. მისი მეგობრები ძირითადად აზერბაიჯანელები იყვნენ. დიუსელდორფში რამდენიმე ებრაელი იყო, მაგრამ უმეტესად აზერბაიჯანელი და გერმანელები. ალექსანდრე ძალიან კარგი ადმინისტრატორი იყო. ომამდე, ომის დროს და ომის შემდეგ მუშაობდა კომპანიაში მომწოდებლად (1941-1945 წლებში). ცოლს როზა ერქვა, რომელიც ებრაელი იყო. მათ ორი ვაჟი შეეძინათ: ლიონია და ედიკი. ომის შემდეგ ალექსანდრე ოჯახთან ერთად ქალაქ ჩერნოვცში ცხოვრობდა.



ისიფ გლაზი 1909 წელს (წყარო: Centropa)

ფაინა მინკოვა

→ centropa.org/en/biography/faina-minkova

ფაინა დაიბადა 1949 წელს ჩერნოვციში, რუსეთში (ახლანდელ უკრაინაში). იგი გაიზარდა სეკულარულად, როგორც გულმოდგინე კომუნისტი. პოლიტექნიკური კომუნიკაციების ინსტიტუტში სწავლის შემდეგ იგი ემიგრაციაში ლენინგრადში წავიდა. 1975 წელს იქორწინა და ერთი ქალიშვილი შეეძინა, სახელად ნინა. ანტიემიტიზმის მიუხედავად, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში თან სდევდა, დღეს ის მიზნად ისახავს სახლში ებრაული დღესასწაულების აღნიშვნას და ჰესეს ღონისძიებებზე დასწრებას თავის ქალაქში.

“ ფოტოზე მარცხენა მხარეს მამაჩემი იუზიკ მინკოვა და მისი ამხანაგები, რომლებთან ერთადაც ის საავადმყოფოში იმყოფებოდა. ფოტო გადაღებულია ბაქოში 1943 წელს. მამაჩემს სურდა ეს ფოტო დედაჩემისთვის გაეგზავნა, თუმცა იმ დროისთვის ვერ იპოვა.

გადაიყვანეს ბაქოს საზღვრებს მიღმა, საავადმყოფოში, სადაც ოპერაცია ჩაუტარდა. მისი გადარჩენა მართლაც რომ სასწაული იყო, რადგანაც ნეკნები ერთმანეთისგან დაშორებული და მკერდზე დიდი ნაწიბურები ჰქონდა, რის გამოც ბევრი სისხლი დაკარგა. ვინაიდან, იმ დროისთვის ხელმისაწვდომი არ იყო ტკივილგამაყუჩებლები და მას

1938 წელს მამაჩემი გაგზავნეს მოგილიოვში, პოლიტიკური ოფიცრების მონინავე კურსზე. ამ დროს სახლში იშვიათად იყო. მომზადების შემდეგ მამაჩემმა მიიღო დავალება ჯარში nkvd⁴-ის სპეციალურ განყოფილებაში. ის გახდა პროფესიონალი სამხედრო. ეს მოხდა ფინეთთან⁵ ომამდე, როდესაც მამაჩემი ფრონტზე წავიდა. ის დაიჭრა და ფეხის თითები მოეყიდა, ამიტომ ცოტა ხანი მოუწია საავადმყოფოში ყოფნა.



იუზიკ მინკოვი 1943 წელს (წყარო: Centropa)

გათავისუფლების შემდეგ მან სამსახური იშოვა უკრაინაში, კამენეც-პოდოლსკიში, სადაც დედაჩემი და ელიზაბეთი თან გაჰყვნენ. 1941 წლის 22 ივნისს მამაჩემი სამედიცინო მკურნალობის კურსს გადიოდა სანატორიუმში.

ის სანატორიუმიდან ფრონტზე გადაიყვანეს. იგი პოლიტიკური ოფიცერი და nkvd-ის თანამშრომელი იყო. მამაჩემი არ იყო მხოლოდ კლერკი, რომელიც ოფისში იჯდა. ის დიდი დროს ატარებდა ფრონტზე, სადაც 1942 წელს მძიმედ დაიჭრა. მას მრავლობითი ჭრილობები აღენიშნებოდა მკერდზე, მუცელზე, ხელებსა და ფეხებზე. ის ექვს საათზე შეტანს იწვა მიწაზე, როდესაც ხეზე მდგარი გერმანული სნაიპერი გაუჩერებლად ესროდა, მანამ სანამ ხედავდა მამაჩემის ქუდზე არსებულ ვარსკვლავს, რომელიც მზის სხივებს ირეკლავდა. მხოლოდ დაბნელების შემდეგ მიეცათ მამაჩემის ამხანაგებს მისი იქიდან გაყვანის შესაძლებლობა და

მუდმივი ტკივილი აწუხებდად, მისმა ექიმმა დაავალა ექთნებს, გაღვიძების თანავე ალკოჰოლის მიცემა. ამის შემდეგ მამაჩემი აღარასოდეს სვამდა ალკოჰოლს და ამბობდა რომ საკმაოდ ბევრი ქონდა მიღებული. მამაჩემი საავადმყოფოში 1942 წლის დეკემბრიდან 1944 წლის თებერვლამდე იმყოფებოდა. შემდეგ სამკურნალოდ კავკასიაში გაგზავნეს. მას არ ჰქონდა ინფორმაცია ოჯახზე და ბავშვებზე. ორი წელი დასჭირდა ოჯახის მოსაძებნად, ხოლო 1944 წელს მიიღო ინფორმაცია მათი ურალში ყოფნის შესახებ. იმავე წელს დაბრუნდა ფრონტზე მყოფ სამხედრო ნაწილში. 1945 წელს მამაჩემმა მიიღო დავალება იაპონიაში, შემდეგ კი ჩინეთში⁶.

4 NKVD იყო საბჭოთა დაზვერვის სამსახური, მოგვიანებით KGB, დღეს FSB
5 საბჭოთა-ფინეთის ომი 1939 - 1940 წწ
6 1945 წელს, გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ, საბჭოთა კავშირმა მონაწილეობა მიიღო ჩინეთში იაპონიის წინააღმდეგ ომში

სარა ნიკიფორენკო

→ centropa.org/en/biography/sarra-nikiforenko

სარა დაიბადა 1909 წელს კრივოი როგში, რუსეთში, ის ოჯახში მეხუთე ქალიშვილი იყო. სახლში მისი ოჯახი მხოლოდ იდიში ენაზე საუბრობდა და ყველა დიდ დღესასწაულს აღნიშნავდა. 1926 წელს სკოლის დამთავრების შემდეგ იგი სწავლობდა smela-ს კვების სამრეწველო კოლეჯში. 1930 წელს დაქორწინდა. მას და მის მეუღლეს სამი შვილი შეეძინათ და მოგვიანებით ემიგრაციაში წავიდნენ ხარკოვში. ომის შემდეგ მათი ოჯახი ლვოვში ცხოვრობდა, სარა კი დიასახლისი იყო. მისი მშობლები და და-ძმები ბაქოში წავიდნენ ემიგრაციაში.

“ სურათზეა დედაჩემი ენტა ზელიონაია თავის პატარა შვილიშვილთან, ვიტალიკ ზელიონისთან, ჩემი უმცროსი ძმის ბორის ზელიონის ვაჟთან ერთად. ფოტო გადაღებულია ბაქოში 1940 წელს და გამომიგზავნეს ხარკოვში, რათა ჩემი ძმისშვილი მენახა.



სარა ნიკიფორენკოს დედა ენტა ზელიონაია და ძმისშვილი ვიტალიკ ზელიონი 1940 წელს (წყარო: Centropa)

1931 წელს ჩემი მშობლები საცხოვრებლად ბაქოში გადავიდნენ, სადაც ჩემი ძმა სოლომონი ცხოვრობდა. ის ყოველთვის ამბობდა, რომ ეს იყო ლამაზი და სტუმართმოყვარე ქალაქი, სადაც საჭმელიც უხვად იყო. ბაქოში საცხოვრებლის ან სამსახურის შოვნის პრობლემა არ ყოფილა. ქალაქში დიდი ებრაული საზოგადოება და სინაგოგები იყო. თანდათან ყველა ჩემი ნათესავი ბაქოში გადმოვიდა საცხოვრებლად. ბაქო არის აზერბაიჯანის დედაქალაქი ზაკავკაზიეში(zakavkaziye). იგი მდებარეობს კასპიის ზღვაზე და ნავთობის მრეწველობის ცენტრია, რამაც მე-20 საუკუნის დასაწყისში გაამდიდრა ეს ქალაქი, იგი კივიდან 2700 კმ-ში მდებარეობს.

ჩემს მშობლებს ყველა ეროვნების მეზობელი ჰყავდათ: აზერბაიჯანელი, სომეხი, რუსი და ებრაელი. ისინი ერთმანეთთან მეგობრობდნენ და თავს კომფორტულად გრძნობდნენ, მაშინ როდესაც საკუთარ ენაზე საუბრობდნენ. როდესაც მამაჩემი სინაგოგაში წავიდა, ყველა არაებრაელმა მეზობელმა მიულოცა დღესასწაული. დედაჩემმა ებრაული კერძებით უმასპინძლა, ჩვენ კი ტრადიციულით.

მამაჩემი ბაქოდან ხშირად მწერდა, ჩემს ძმებზე, დებზე და მათ შვილებზე.

ის ძალიან კარგად წერდა რუსულად. 1940 წელს მამა გარდაიცვალა და დედაჩემი ჩემს დასთან სონიასთან წავიდა საცხოვრებლად, ხოლო დედაჩემი 1944 წელს ბაქოში გარდაიცვალა.

ძალიან ახალგაზრდები მახსოვს ჩემი დები და ძმები, რომლებიც ბაქოში [აზერბაიჯანის დედაქალაქში] გადავიდნენ 1930-1932 წლებში. ამის შემდეგ ყოველი მათგანი ორ-სამჯერ თუ მყავს ნანახი, ძირითადად წერილებით ვურთიერთობდით.

სოლომონი, მეორე ვაჟი, დაიბადა 1885 წელს. ის სწავლობდა ჩედერში და ისეთივე უყვარდა ალჭურვილობა, როგორც მის ძმას. მე-20 საუკუნის დასაწყისში მრეწველობამ პროგრესი განიცადა სამხრეთ უკრაინაში [რომელიც იმ დროისთვის რუსეთს ეკუთვნოდა].

ბევრი სამუშაო ვაკანსია იყო ხოლო წარმოშობას დასაქმებისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, მნიშვნელოვანი იყო მხოლოდ შრომისმოყვარეობა.

სოლომონი სამუშაოდ წავიდა რკინის მადნის მალაროში. რკინის მადნის რამდენიმე მალარო დაუკავშირდა

გრძელ და უცნაურ ქალაქს, სახელად კრივოი როგს. სოლომონი ჭკვიანი იყო და ოსტატად დანიშნეს. მან უთხრა თავის მშობლებს, მასთან ერთად ყოფილიყვნენ, რადგანაც ფიქრობა, რომ ამ ახალ ადგილას ცხოვრება გაუმჯობესდებოდა. ერთხელ ის ოფისში დაიბარეს, მალაროდან შორს , ამ დროს მალაროში მენყერი ჩამოწვა, რის შედეგადაც მთელი ეკიპაჟი დაიღუპა. ამის შემდეგ, ის აღარასოდეს ჩასულა მალაროში და დაბრუნდა სმელაში.

1912 წელს სმელაში იგი დაქორწინდა თავის ბიძაშვილ ბასიაზე, ბიძა ისააკის ასულზე. მათ შეეძინათ ქალიშვილი, სახელად რეიჩელი. 1929 წელს სოლომონი და მისი ოჯახი საცხოვრებლად ბაქოში გადავიდა. იმ დროს კომუნიკაციის სხვა საშუალება არ არსებობდა, გარდა მიმოწერისა. დროდადრო წერდნენ და ჩვენ ვიცოდით, რომ სოლომონი ხალიჩების ქარხანაში დურგალი გახდა და აზერბაიჯანელი ოჯახისგან ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა.

იგი 90 წლის ასაკში გულის შეტევით გარდაიცვალა, მეუღლეს დიდი ხნის წინ გარდაეცვალა. მათი გოგონები (ბაქოში კიდევ ერთი ქალიშვილი დაიბადა – სახელი არ მახსოვს) დიდი ხნის წინ წავიდნენ ისრაელში და მათთან არანაირი ურთიერთობა აღარ გვქონია.

ჩემმა უფროსმა დამ ბასიამ, დაბადებული 1888 წელს, განათლება სახლში მიიღო . ჩემს დებს ჰყავდათ ებრაელი მასწავლებლები. მახსოვს, კიპიანი და ცუდად ჩაცმული მოხუცები იყვნენ. დედაჩემი მათ ყოველთვის აჭმევდა საჭმელს და თან ატანდა კიდევ. მათ კვირაში 2-3 გაკვეთილი ჰქონდათ, ასწავლიდნენ წერა-კითხვას რუსულ და იდიში ენას, მათემატიკის საფუძვლებს, ლიტერატურას და ებრაულ ტრადიციებს. თუმცა, არ ვიცი, მიიღეს თუ არა მათ თავიანთი სამუშაოსთვის ანაზღაურება.

7 ებრაული საქორწილო გადასაფარებელი ოთხი ღია მხრით. ებრაული საქორწილო ცერემონია ჩვეულებრივ ტარდება ჩუპის ქვე

ბასიამ იქორწინა ჩვენს ქუჩაზე მცხოვრებ ებრაელ ახალგაზრდა გრიშაზე . კარგად მახსოვს მათი ქორწილი და ჩემი სხვა დების ქორწილები რაბინთან. ქორწილი გაზაფხულზე აყვავებულ ბაღში შედგა, ჩუპაში⁷. გრიშა კარგი და შრომისმოყვარე ებრაელი კაცი იყო, სმელაში ნისქვილში მუშაობდა. კარგი ცხოვრება ჰქონდათ, ერთმანეთი უყვარდათ, ყავდათ ორი ბიჭი: სიომა და ზინია. ისინი 1930 წელს ბაქოში გადავიდნენ საცხოვრებლად და იქვე გარდაიცვალნენ 1960-იანი წლების ბოლოს. მათი შვილები იწუნებენ გახდნენ. ისინი ახლა ისრაელში, ბერ შევეში ცხოვრობენ. მათგან ამბები იშვიათად გვესმის, ისინი საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობენ.

ჩემი მეორე და, ბრონია, დაბადებული 1892 წელს, დაქორწინდა შაიმონზე, რომელიც წიგნებს კინძავდა. მათ ვაჟი, გრიშა შეეძინათ. არ მახსოვს, ჰყავდათ თუ არა სხვა შვილები. ისინი ბაქოში გადავიდნენ 1932 წლის შიმშილობის დროს. არ მახსოვს, როდის დაიღუპნენ.

რაც შეეხება, და სონიას, დაიბადა 1895 წელს. ის დიდებული დიასახლისი იყო. ის და მისი მეუღლე გრიგორი, ებრაელი, ჩვენთან ახლოს ცხოვრობდნენ სმელაში. მათი ქალიშვილი სარრა, ბებიაჩემის რჩეული, ლამაზი გოგონა იყო.

სონია დედას სახლის საქმეებში ეხმარებოდა, გრიგოლმა კი ეს პროფესია მამაჩემისგან ისწავლა. კარგი სპეციალისტი იყო, მაგრამ არა ისეთი კარგი, როგორც მამაჩემი. მშობლებთან ერთად ბაქოში 1931 წელს გადავიდნენ. სონია 1973 წელს გარდაიცვალა. მისი ქალიშვილის სარას შესახებ ინფორმაცია არ მაქვს.

დას პოლიას, დაბადებულ 1905 წელს, სახლში ჰყავდა იგივე მასწავლებლები და რევოლუციამდე ერთი და იგივე ენებს სწავლობდა, თუმცა შემდეგ რამდენიმე წელი საშუალო სკოლაში გაატარა. პოლია დაქორწინდა

ბორისზე, ძალიან კარგ ებრაელ კაცზე, რომელიც იყო კინოს ოპერატორი. მათი ქალიშვილი რეიჩელი დაიბადა 1928 წელს. 1932 წელს ისინი სხვა ნათესავების მიყოლებით გადავიდნენ ბაქოში. ბორისი დაიღუპა ფრონტზე დიდი სამამულო ომის დროს. ჩემი და დაქვრივდა და ხელახლა აღარ გათხოილა. იგი 1981 წელს გარდაიცვალა. ჩემი დის ქმრის გვარი არ მახსოვს. 93 წლის ვარ და მიკვირს, რომ საერთოდ არაფერი მახსოვს.

ჩემი საყვარელი უმცროსი ძმა ,ბერელი (მას სახლში ბორისს ეძახდნენ) 1907 წელს დაიბადა. სწავლობდა საბჭოთა ებრაულ სკოლაში. საბჭოთა პერიოდში ქალაქში გაიხსნა ეროვნული სკოლები: უკრაინული და ებრაული. იმ სკოლებში ერთნაირი სასწავლო გეგმა იყო ,ბავშვები სწავლობდნენ გეოგრაფიას, მათემატიკას, ისტორიას და სხვა ძირითად საგნებ, თუმცა განსხვავება მხოლოდ სწავლების ენა იყო: უკრაინული უკრაინულ სკოლებში და იდიში – ებრაულ სკოლაში. ებრაულ სკოლაში ყველა მასწავლებელი ებრაელი იყო ხოლო, ყველა სკოლა საბჭოთა გავლენაზე ორიენტირებული. გვასწავლეს ათეისტებისა და საბჭოთა ხელისუფლების სიყვარული. შემდეგ მან დაამთავრა კვების მრეწველობის კოლეჯი. მუშაობდა შაქრის ქარხნებში. დიდ სამამულო ომამდე ცოტა ხნით ადრე ის გადავიდა ჩვენს მშობლებთან ბაქოში. მან ცოლად შეირთო ლამაზი ებრაელი გოგონა (მე ის არასოდეს მინახავს მას შემდეგ, რაც ისინი ბაქოში ცხოვრობდნენ და მისი სახელი არ მახსოვს). მათ შეეძინათ ვაჟი – ვიტალიკი. ბორისი დაიღუპა ფრონტზე დიდი სამამულო ომის დროს. მისი შვილი ომის დროს გარდაიცვალა, რაღაც დაავადებით.

ჩემი უფროსი ქალიშვილი ლუდმილა დაიბადა 1932 წელს . ვიტალი თავის წერილებში მეუბნებოდა უკრაინაში დაბრუნებაზე, თუმცა იმ დროს უკრაინაში იძულებითი შიმშილობის პერიოდი იყო, მაშინ როცა ბაქოში უამრავი საკვები გვქონდა, მათ შორის უამრავი ბოსტნეული და ხილი. ჩემი მეუღლე იყო ჩართული ძალიან მნიშვნელოვან მისიაში, როგორცაა მარცვლეულის სტრატეგიული მარაგების შევსება. ვიტალი ძალიან პასუხისმგებელი თანამშრომელი იყო. 1933 წელს მან მომწერა, რომ მიწვეული იყო ხარკოვის სამხედრო აკადემიაში. ეს ძალიან კარგი შემოთავაზება იყო, ამიტომ ის ხარკოვში გადავიდა. ის გახდა ლაბორატორიის ხელმძღვანელი, რომელიც ჩართული იყო საკვების სტრატეგიული შენახვის პირობების სამეცნიერო კვლევაში. ვიტალი ასევე მიიწვიეს სამხედრო აკადემიაში პოლიტიკისა და ტექნიკური საგნების მასწავლებლად. ხარკოვი უკრაინის დედაქალაქი იყო 1934 წლამდე. ეს იყო დიდი ინდუსტრიული ცენტრი. მან მიიღო მშვენიერი ოროთახიანი ბინა კორპუსში, რომელიც განკუთვნილი იყო სამხედრო ჩინოვნიკებისა და სამხედრო აკადემიის ლექტორებისთვის . ბაქოდან ჩვენს პატარა ქალიშვილთან ერთად ჩამოვედი.

ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჩემი მეუღლისა და ბაქოდან ახლობლების წერილები. ვიტალი იყო ლოგისტიკური მომსახურების მთავარი სპეციალისტი – ის პასუხისმგებელი იყო ჯარისკაცების კვებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ის არ იმყოფებოდა ფრონტის ხაზზე, ორჯერ დაარტყა ჭურვმა და დაიხსნეს ზედდაცემული ბურჯისგან. მას ზურგის არეში დაზიანება ჰქონდა,, მაგრამ სამსახური მაინც არ დატოვა.. ახლობლები მიყვებოდნენ მათი ცხოვრების შესახებ. დედაჩემი გარდაიცვალა ბაქოში 1944 წელს. დიდი სამამულო ომის დროს ბაქო არ იყო გერმანიის ოკუპაციის ქვეშ. ჩემი უმცროსი ძმა ბორისი, მისი ვაჟი და ჩემი დის პოლიას ქმარი ბორისი დაიღუპნენ ფრონტზე. პოლიამ ვერ გაუძლო და ისიც დაიღუპა“.

ბელა ჭანინა

→ entropa.org/en/biography/bella-chanina

ბელა ჭანინა დაიბადა კიშინიევში 1923 წელს. მამის კვალდაკვალ ბელა სწავლობდა კიშინიევის სასოფლო-სამეურნეო კოლეჯში, მევენახეობასა და მეღვინეობას. ომის დროს ბელას ოჯახი გაიქცა როსტოვში (დღევანდელი რუსეთი), სადაც ბელამ და მამამისმა დაიწყეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. ომის შემდეგ, ისინი დაბრუნდნენ კიშინიევში და ბელამ სწავლა განაგრძო. ის მუშაობდა მეღვინეობის მრეწველობის დეპარტამენტში, სადაც გაიცნო მომავალი მეუღლე, მოგვიანებით დაინიშნა სოფლის მეურნეობის სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსად. პერესტროიკის⁸ შემდეგ, ბელა ჩაერთო კიშინიევში ებრაული ცხოვრების აღორძინებაში, ის მონაწილეობას იღებდა ქალაქში ებრაული ბიბლიოთეკისა და საზოგადოებრივი ცენტრის შექმნაში. ეს არის ბელას დედა, რომელიც თბილისში ცხოვრობდა.

“ დედაჩემი სარა როზენტალი დაიბადა 1887 წელს. როდესაც ის ოთხი წლის იყო, ბაბუაჩემი გარდაიცვალა. ბებიჩემმა ესტერმა, დედა აღზრდა როგორც მომავალი კარგი ებრაელი ცოლი. დედაჩემმა კარგად იცოდა ებრაული ტრადიციები, ჭრა-კერვა, თუმცა მას სურდა სწავლის გაგრძელება. ის ძლიერი ხასიათით გამოირჩეოდა, 16 წლის ასაკში გაიქცა ტელენესტიდან და სწავლა დაიწყო ებრაულ გიმნაზიაში. სწავლის დასრულების შემდეგ მან მიიღო მასწავლებლის სერთიფიკატი. დედაჩემი ტფილისში გადავიდა საცხოვრებლად, ასე ერქვა მაშინ თბილისს, სადაც მასწავლებლად მუშაოდა. მას ყავდა ძმები: მაქსი და გედალიე, თუმცა არ მახსოვს ისინი როდის ან რატომ წავიდნენ.

1915-1916 წლებში, თურქეთში სომეხი მოსახლეობის წინააღმდეგ გენოციდის პერიოდი, ის თბილისში იმყოფებოდა. (1915 წელს თურქეთის მთავრობამ გამოსცა ბრძანება აღმოსავლეთ ანატოლიიდან სომხების იძულებით გადასახლების შესახებ. დაახლოებით 3 მილიონი ადამიანი დაექვემდებარა დეპორტაციას. მათგან მხოლოდ ერთი მესამედი გადარჩა).

დედაჩემი მეუბნებოდა, რომ თბილისში სომეხთა დასახმარებლად შექმნილ კომიტეტში მუშაობდა. მისი თქმით, როცა სომხები მასთან მიდიოდნენ ჩიოდნენ,

ბელას დედა, სარა ფიჩგენდლერი, ძე როზენტალი, 1922 წელს (წყარო: Centropa)



“ქართველი ხარ და ქართველებს უფრო მეტ დახმარებას უწევო”, და პირიქით, როცა ქართველები მიდიოდნენ, ეუბნოდნენ: “სომხებს ქართველებზე მეტად ეხმარებიო”. მათ არ წარმოუდგინათ, რომ ის არც ქართველი და არც სომეხი იყო, არამედ ებრაელი. დედაჩემი თანაბრად ეხმარებოდა როგორც ქართველებს ისევე სომხებს.

⁸ პერესტროიკა, (რუს. „რესტრუქტურისაცია“) პროგრამა, რომელიც დაარსდა საბჭოთა კავშირში 1980-იანი წლების შუა ხანებში საბჭოთა ეკონომიკური და პოლიტიკური პოლიტიკის რესტრუქტურისაციის მიზნით, რომელიც ცდილობს საბჭოთა კავშირის ეკონომიკურ დონეზე აყვანას კაპიტალისტურ ქვეყნებთან, როგორცაა გერმანია, იაპონია და შეერთებული შტატები.

რებეკა ევგინი

→ centropa.org/biography/rebeka-evgin

რებეკა ევგინი დაიბადა 1934 წელს ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მდებარე თურქულ ქალაქ ადანაში. მიუხედავად იმისა, რომ რებეკას ახსოვს ომის და შიშის მომგვრელი პერიოდი, თურქი ებრაელები მეორე მსოფლიო ომის საშინელებებს გადაურჩნენ. თუმცა, მათ გარკვეული დისკრიმინაციული პოლიტიკა შეეხოთ სახელმწიფოს მხრიდან, მათ შორის ქონების გადასახადები. 1949 წელს, 14 წლის ასაკში, რებეკა დედასთან და დასთან ერთად სტამბულში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც დაქორწინდა მორდეჰაი მურატზე და შეეძინა ორი შვილი. მან დარჩენილი სიცოცხლე სახლში, შვილების აღზრდაში გაატარა.

“ ფილმში fiddler on the roof გმირები ერთმანეთს ეკითხებიან: „რატომ ატარებენ ებრაელები მუდამ ქუდს?“ ხოლო პასუხი, როგორც ყველამ ვიცით, იყო: „რადგან ებრაელები ყოველთვის მზად არიან მიგრაციისთვის“.

როგორც ჯორჯ მუსტაკის ერთ-ერთ სიმღერაშია, “Le juif errant” (მოხეტიალე ებრაელი) ეს ებრაელების ბედი იყო. ჩემს წინაპრებზე ფიქრის დროს ვხვდები, რომ ჩემი ფესვები ურმამდე ვრცელდება (ურმი არის ქალაქი რუსეთსა და სომხეთს შორის).

მამაჩემის ბაბუა ავრამ ბაბაქარდაში დაიბადა 1870 წელს ურმში. ის ცხოვრობდა ირანში, ვან ბაშკალეში, კონიაში, ჰალეპსა⁹ (ქალაქები აღმოსავლეთ, ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში) და დამასკოში. მის შესახებ ბევრი ინფორმაცია არ მაქვს, მაგრამ ვიცი, რომ საკმაოდ რელიგიური იყო და ქართულად საუბრობდა. ის მეცხოველეობას მიზღვედა.

პირველი მსოფლიო ომის დროს მისი ოჯახის წევრების დიდი ნაწილი დაიღუპა. ბაბუაჩემი პირველი ცოლის დაკარგვის შემდეგ, დაქორწინდა ჯევაჰირ ბაბაოღლუზე.

დედაჩემის დედისა და მამის შესახებ ბევრი ინფორმაცია არ მაქვს. თუმცა მამამისს დანიელ ნურიელერი ერქვა, დედას სიმბული. დედაჩემის მამაც ორჯერ დაქორწინდა.

⁹ ბოლო სამი არის ქალაქები აღმოსავლეთ, ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში



რებეკა ევგინი და მისი საქმრო 1950 წელს (წყარო: Centropa)

მისი პირველი ქორწინების შესახებ ინფორმაცია არ მაქვს.

ბიძაჩემი ავრამ ბაბაოღლუ ხვდებოდა იაკუპს და მორდო მურატს. იაკუბი სეფარდულ ქალბატონზე იყო დანიშნული, მაგრამ ნიშნობის დროს უარი განაცხადა, ფიქრობდა, რომ ამ ქალბატონის სურვილები უსაზღვრო იყო, ხოლო მას არ შეეძლო ამ სურვილების ასრულება. ჩემმა სიძემ, იაკუპმა სამხედრო სამსახური ადანაში მოიხადა. მამაჩემი და ჩემი მამამთილი შორეული ნათესავები იყვნენ. ჩემი სიძის ოჯახიც საქართველოდან გადმოვიდა და მურატების ოჯახში სამუშაოდ წავიდნენ.

ადანაში სეფარდი და ქართველი ებრაელები ერთად ცხოვრობდნენ. ქართველი ებრაელები კულტურულად უფრო არამდგრადები იყვნენ, ვიდრე სეფარდი ებრაელები. ქართველი ებრაელები ერთმანეთში ქართულად საუბრობდნენ. მამა შაბათ დილით


სინაგოგაში დადიოდა. სინაგოგა ნაქირავებ სახლში იყო გადაკეთებული. პასექის დღესასწაულისთვის სამზადისი ბევრ საქმეს მოიცავდა. ყავის მარცვლებს ადულებდნენ, აშრობდნენ და ფქვავდნენ. ბრინჯს რეცხავდნენ, აშრობდნენ და ჩანთებში ყრიდნენ. პურს აცხობდნენ უსაფუარო ფქვილით და მარილით, შემდეგ ამ პურს მთელი 8 დღის¹⁰ განმავლობაში ჭამდნენ. დედაჩემი სახლში ფორთოხლის მარმელადს ამზადებდა და სტუმრებს ვერცხლის ლანგრით, წყალთან ერთად სთავაზობდა. მაშინ არ იყო შოკოლადი და სხვა სახის კანფეტულობა. ტრადიცია იყო ასეთი ტკბილეულით გამასპინძლება.

ერთ-ერთ პასექის დროს ჩვენთან მუსლიმი მეზობლები მოვიდნენ. მათ არ იცოდნენ რომ ჯემი კოვზის გამოყენებით შეეძლოთ ეჭამათ, რომელსაც დედაჩემი სთავაზობდა. მათ თასიდან დაიწყეს ჭამა. მცირე ულუფის მიღების შემდეგ, ბოდიში მოიხადეს და თქვეს, რომ თასის დასრულება ვერ შეძლეს.

ბიძაჩემი, პასექ ჰაგადას ნაკითხვის შემდეგ მას ქართულად თარგმნიდა. ის მყისიერად თარგმნიდა, რომელიც ებრაულად იყო, რათა ბავშვებს კარგად გაგვეგო¹¹.

¹⁰ მაცო არის უფუარი პური, რომელსაც ებრაელები მიირთმევენ პასექის (პესაჰ) დღესასწაულის დროს ეგვიპტიდან მათი გამოსვლის აღსანიშნავად. ეგვიპტიდან სწრაფმა გამგზავრებამ არ იძლეოდა ცომის დუღილის საშუალება და შესაბამისად, ნებისმიერი სახის საფუარის გამოყენება დადგენილია მთელი კვირის განმავლობაში.

¹¹ ჰაგადა, იუდაიზმში, სპეციალური წიგნი, რომელიც შეიცავს ბიბლიური გამოსვლის ამბავს, როგორც ეს უნდა იყოს მოთხრობილი პასექის სედერის სადილის დასაწყისში (პესახი). წიგნის კომენტარები გასვლის ამბავზე იძლევა ებრაული ისტორიის რელიგიურ ფილოსოფიას და წიგნი პასუხობს სედერის დასაწყისში ბავშვების მიერ დასმულ ტრადიციულ კითხვებს.



ქართული რეცეპტები:

გალია შიჰნა

შემადგენლობა: 1 კგ კარტოფილი, 4 თავი ხახვი, 1/2 კგ სტეიკი, 2 კვერცხი, მარილი და პილპილი გემოვნებით

მრგვალად დაჭრილი კარტოფილი ტაფაზე შეწვით ზეთში. ხახვიც დავჭრათ მრგვალ ნაჭრებად და ვშუშოთ ზეთში, სანამ არ დარბილდება. ხორცს მოვაყაროთ მარილი და ცალკე მოვშუშოთ. ტაფაში ზემოდან თანმიმდევრობით მოვაყაროთ ერთი ფენა კარტოფილი, ერთი ფენა ხახვი და მოხარშული ხორცი. ათქვეფილი ორი კვერცხიდაასხით ზემოდან და შუშეთ დაბალ ცეცხლზე.

ბორში

შემადგენლობა: ძროხის ბულიონი ან ძვლის ტვინის ბულიონი, კომბოსტო, ოსპი, გარბანწო ლობიო, მარილი და პილპილი გემოვნებით

ბულიონი მიიყვანეთ ადუღებამდე. გარბანწო ლობიო დაალბეთ წინა ღამით. გარეცხეთ კომბოსტო და დაჭერით ნაჭრებად. ყველაფერი დაამატეთ ბულიონს და ხარშეთ მომზადებამდე.

გოზლეში (თხელი ბლინი)

შემადგენლობა: 2 კვერცხი, 2 ჭიქა ფქვილი, 2/3 ჭიქა რძე, ოდნავ ფერმენტირებული ყურძნის წვენი, თაფლი

კვერცხი და ფქვილი შეურიეთ რძეს და მოვზილოთ რბილი ცომი. შემდეგ შეწვით ზეთიან ტაფაში მრგვალი ფორმის ბლინები. მირთმევის დროს დაამატეთ ფერმენტირებული ყურძნის წვენი ან თაფლი.

ბორში

შემადგენლობა: ძროხის ბულიონი ან ძვლის ტვინის ბულიონი, კომბოსტო, ოსპი, გარბანწო ლობიო, მარილი და პილპილი გემოვნებით

ბულიონი მიიყვანეთ ადუღებამდე. გარბანწო ლობიო დაალბეთ წინა ღამით. გარეცხეთ კომბოსტო და დაჭერით ნაჭრებად. ყველაფერი დაამატეთ ბულიონს და ხარშეთ მომზადებამდე.

ვაზის ფოთლის ტოლმა, იოგურტით

შემადგენლობა: 2 ჭიქა ბრინჯი, 250 გრ. ყურძნის ფოთლები, კამა, 2 საშუალო თავი ხახვი, პიტნა, მარილი და პილპილი გემოვნებით.

მონარშეთ ვაზის ფოთლები. ორი ფინჯან ბრინჯს დაასხით 4 ჭიქა წყალი და მონარშეთ. ხახვი დავჭრათ წვრილად და მოვშუშოთ ზეთში, მოვაყაროთ ბრინჯი, პიტნა, კამა, მარილი და პილპილი. ვაზის ფოთლებში ჩავდოთ მომზადებული შიგთავსი და შევახვიოთ. მირთმევისას მოასხით იოგურტში ათქვეფილი ნიორი და გამდნარი კარაქის მასა.

ზირედოში (zirredosh)

შემადგენლობა: 250 გრ. ნიგოზი, 2 კვერცხი, 1 ჭიქა შაქარი, კურკუმა

შეურიეთ ყველა ინგრედიენტი რათა მიიღოთ პასტა. შემდგომ მიირთვით ხელით.

რიმა ლეიბერტი

→ centropa.org/en/biography/rimma-leibert

რიმა ლეიბერტი დაიბადა 1939 წელს, თბილისში. ომის დროს რიმა თბილისში იმყოფებოდა დედასთან ერთად, 1945 წლის იანვარში კი ლვოვში გადავიდა საცხოვრებლად. მამა ფრონტზე ბრძოლისას დაიღუპა. ანტისემიტობის გამო, სამედიცინო და ქიმიურ კოლეჯში შესვლის შემდეგ, რიმა ჩაირიცხა ლვოვის კინოს ლოჯისტიკის ტექნიკურ სკოლაში და მოგვიანებით პენსიაზე გასვლამდე მუშაობდა ტერნოპოლის კინოს ლოჯისტიკის განყოფილებაში. რიმა არ დაქორწინებულა, ხოლო 1991 წელს, დედის გარდაცვალების შემდეგ, ცხოვრობდა ძმის ოჯახთან ერთად. იგი ფიქრობს, რომ უკრაინის დამოუკიდებლობამ საშუალება მისცა ებრაულ თემებს განვითარებულიყვნენ, წარმატება მიეღწიათ და თავი დაემკვიდრებინათ ტერნოპოლის ებრაულ თემში.

“ეს არის დედაჩემი როზა ლეიბერტი, რომელსაც ხელში უჭირავს ჩემი და მაია, მასთან ერთად არის დედაჩემის მეგობარი. ეს ფოტო 1935 წელს თბილისშია გადაღებული, ჩემი და მაია ამ დროს ერთი წლისაა.

მამაჩემმა, ბორის ლეიბერტმა დაამთავრა პოლიტიკური სამხედრო სკოლა და მსახურობდა თბილისში, საქართველოში, სადაც იყო თბილისის გარნიზონის პოლიტიკური განყოფილების უფროსი. 1932 წელს წავიდა ოდესის სამხედრო დასასვენებელ დაწესებულებაში, სადაც შეხვდა დედაჩემს, შეხვედრიდან თითქმის ორი კვირის შემდეგ დაქორწინება შესთავაზა. დედაჩემმაც გრძნობით უპასუხა და დათანხმდა. ისინი წავიდნენ ბაბუა აბრამთან ქერჩში, სადაც პატარა ქორწილი გადაიხადეს. მათ ქორწინება ქერჩის რეესტრის ოფისში დაარეგისტრირეს. მამაჩემს არც კი სურდა ებრაული ქორწილის ან ტრადიციების გაგონება: რადგანაც კომუნისტი იყო. ქორწილის შემდეგ, მამა და დედა წავიდნენ თბილისში.

ისინი ცხოვრობდნენ ოროთახიან ბინაში, ქალაქის ცენტრთან ახლოს, რომელიც განკუთვნილი იყო ოფიცრებისთვის. დედაჩემს შეუყვარდა თბილისი,



რიმა ლეიბერტის და მაია ლეიბერტი, დედა როზა ლეიბერტი და მისი მეგობარი 1935 წელს (წყარო: Centropa)

მსოფლიოს ერთ-ერთი ულამაზესი, თბილი და სტუმართმოყვარე ქალაქი, რომელსაც შოთა რუსთაველის ულამაზესი გზატკეცილი და მთაწმინდის მთა გამოყურებს. ეს იყო მრავალეროვნული ქალაქი: ქართველი, სომეხი, რუსი, ბერძენი, თურქი და ებრაელი მოსახლეობით. მიუხედავად ქართველების ქრისტიანობისა, თბილისში ქრისტიანული ეკლესიების გარდა იყო, სომხური გრიგორიანული ეკლესიები. ქალაქში იყო ებრაული თემი, მაგრამ ისინი ძალიან იზოლირებულად ცხოვრობდნენ. დედაჩემს თბილისში არცერთი ებრაელი ნაცნობი არ ჰყავდა. მას სხვა ოფიცრების ცოლებთან ქონდა ურთიერთობა თუმცა მათ შორის არც ერთი ებრაელი ქალი არ იყო. დედაჩემი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივ

საქმიანობაში და განუწყვეტლივ ირჩევდნენ სამხედრო ნაწილის ქალთა საბჭოში.¹²

ჩემი და მაია დაიბადა 1934 წლის 1 მაისს დღესასწაულის შემდეგ. მას უყვარს თბილისში გატარებული ბავშვობის გახსენება. თბილისში ბევრი მეგობარი ჰყავდა. ჩემი მშობლების მეგობრები ხშირად იკრიბებოდნენ ჩვენს სახლში. ისინი აღნიშნავდნენ საბჭოთა დღესასწაულებს, მათ შორის ოქტომბრის რევოლუციის დღეს¹³, 1 მაისს. ჩემმა დამ მითხრა, რომ ისინი მღეროდნენ საბჭოთა სიმღერებს და ცეკვავდნენ ვალსს – საცეკვაოდ ოთახი საკმარისად დიდი იყო. ვინაიდან მამაჩემი სამხედრო და კომუნისტი იყო, მას არ სურდა ებრაული დღესასწაულების ან ტრადიციების ხსენება. მას სჯეროდა, რომ ისინი წარსულის გადმონაშთები იყვნენ. დედაჩემმაც მიიღო კომუნისტური იდეები და აღარ სურდა ებრაული ტრადიციების მიყოლა.

1939 წელს ზაფხულში დედაჩემი და ჩემი და ქერჩში წავიდნენ. ჩემი და ხშირად მეუბნებოდა, როგორ გაცუებული იყო ებრაული ცხოვრებითა და ტრადიციებით, რომლებსაც ბაბუაჩემი და მისი მეუღლე იცავდნენ.

ზაფხულის ყველაზე დიდი ებრაული დღესასწაული შაბათია¹⁴. ბაბუაჩემის ცოლის გამომცხვარი ტრადიციული challor¹⁵-ით, პურის და ღვინის კურთხევის ცერემონიით და ანთებული სანთლებით. დედამ მითხრა, რომ თბილისში დაბრუნების შემდეგ ჩემი და ტირილით სთხოვდა მამას შაბათის სახლშიც აღენიშნას, მაგრამ მან სიცილით მიუგო უარი თავის ქალიშვილს.

მე და დედა თბილისში დავრჩით. დედაჩემმა მუშაობა დაიწყო არმიის შტაბში. მან არაფერი იცოდა ბაბუა აბრამზე, მის ოჯახზე და უფროს და ლუსიაზე. მათგან წერილებს ვერ ვიღებდით და დედაჩემმა იფიქრა, რომ ან ქერჩში დარჩენა გადაწყვიტეს, ან ევაკუაცია ვერ

მოახერხეს. ომის დროს ჩვენ თბილისში ვცხოვრობდით. დედაჩემმა მიიღო ბარათები, თავისი ორი შვილისთვის და მამაჩემისთვის, რომელიც ფრონტზე იყო. (ბარათთა სისტემა შემოვიდა მოსახლეობისთვის საკვების მიწოდების პირდაპირ რეგულირებისთვის, საკვებისა და სამრეწველო პროდუქტების ტარიფებით. დიდი სამამულო ომის დროს და მის შემდეგ სსრკ-ში არსებობდა ბარათები მუშებისთვის, არამეცნიერების და სსრკ-ს დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლებისთვის. ყველაზე დიდი განაკვეთები მუშათა ბარათებზე იყო: 400 გრამი პური დღეში). არ ვიცი, როგორ ახერხებდა ჩვენთვის საკვების მოპოვებას, მაგრამ არ მახსოვს, მშვირები ვყოფილიყავით. მახსოვს თბილისის ბაზარი, სადაც დედაჩემს ხშირად მიყვავდით, სადაც ქართველი გამყიდველი ქალები დედაჩემს ფასს უკლებდნენ, როცა მას ორ შვილთან ერთად ხედავდნენ. ასე რომ, მახსოვს, ამ ხალხის სიკეთე და თუ როგორ შეეძლოთ საერთო უბედურების გაზიარება და თანაგრძნობა. 1942 წელს თბილისში მოხდა საჰაერო თავდასხმები, რის გამოც მოგვინია თავშესაფრებში წასვლა. მახსოვს კიდევ, ჩვენს ებოს თავზე როგორ დაფრინავდა ორი თვითმფრინავი. ხშირად სამსახურის შემდეგ დედაჩემი დასახმარებლად დადიოდა საავადმყოფოში, ჩვენი სახლიდან ნახევარი საათის სავალზე. დედაჩემი უმეტეს დროს სახლიდან მოშორებით ატარებდა. ჩემზე ჩემი და ზრუნავდა, საჭმელს მაჭმევდა.. დროდადრო მეზობელი მოდიოდა, რომ ენახთ იყო თუ არა ყველაფერი რიგზე. ხანდახან მე და ჩემი და საავადმყოფოში წასასვლელად ძველ ტრამვაიში ვსხდებოდით.

პაციენტებს ლექსებს ვეუბნებოდით და ვუმღეროდით.. დაჭრილი სამხედროებიც იცინოდნენ და ბედნიერები ჩანდნენ. მახსოვს ერთხელ შოკოლადი მოგვცეს. ეს შოკოლადი იმდენად გემრიელი იყო, რომ მის გემოს დღემდე ვგრძნობ ტუჩებზე.

12 ქალთა საბჭოები – განყოფილებები, რომლებიც შედიოდა პარტიის ორგანოებში პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით 1918 წელს. მათი წევრები იყვნენ ქალები აქტივისტები და მათი ამოცანები მოიცავდა იდეოლოგიურ მუშაობას ინდუსტრიის თანამშრომლებთან და გლეხებთან, მათი სოციალისტური განათლების მიღების მიზნით. რეორგანიზაცია მოხდა 1929 წელს
13 “მუშათა სოლიდარობის საერთაშორისო დღე”, იგივე შრომის დღე
14 შაბათი, ებრაული შაბათი, სინაინის დასვენების დღე, რომელსაც ებრაელები აკვირდებოდნენ პარასკევს შხის ჩასვლიდან მომდევნო დღის დაღამებამდე.
15 ჩალა არის აშკენაზური ებრაული წარმოშობის სპეციალური პური, რომელსაც ჩვეულებრივ აკრავენ და მიირთმევენ სახეიმო შემთხვევებში, როგორცაა შაბათი და ებრაული დღესასწაულები (გარდა პასეხისა).

ფერდინანდ ჩერნოვიჩი

→ centropa.org/en/biography/ferdinand-chernovich

ფერდინანდი დაიბადა 1923 წელს მოსკოვში და გაიზარდა უმუშევრობისა და გაჭირვების პერიოდში. მისი ოჯახი არ იცავდა ებრაულ ტრადიციებს, რადგან საბჭოთა ცხოვრება რელიგიის წინააღმდეგი იყო. მე-10 კლასში (1941) ფერდინანდი გაინვიეს ჯარში და მოამზადეს რადიოს ოპერატორად. ფერდინანდი მსახურობდა სტალინგრადის ბრძოლაში და მიიღო სამხედრო დამსახურებისთვის მედალი. პოლონეთის ფრონტზე მიყენებული დაზიანებების შედეგად მან საბოლოოდ დაკარგა ფეხი .ის 1945 წელს დაბრუნდა მოსკოვში და სწავლობდა ინჟინერიას. პენსიაზე გასვლამდე დიზაინის მიმართულებით მუშაობდა. 1958 წელს ის დაქორწინდა მარიაზე და ისინი ერთად იყვნენ 2001 წლამდე, მის გარდაცვალებამდე.



ფერდინანდ ჩერნოვიჩი 194 წელს (წყარო: Centropa)

“ ეს მე ვარ. ფოტო გადაღებულია, მოსკოვში გამგზავრებამდე, საავადმყოფოდან გამონერისას. .

1941 წლის გაზაფხულზე ჩავაბარე გამოცდები. 22 ივნისს დაიწყო დიდი სამამულო ომი. 1941 წლის აგვისტოში მე და სხვა სამხედრო მოსამსახურეები გაგვავაზვნეს ჩელიაბინსკის¹⁶ ბანაკებში. გაგვიშვეს სარეზერვო პოლკის სასწავლო საარტილერიო დივიზიონში. იქ ერთი თვე დავრჩით. გვასწავლეს როგორ გავმხდარიყავით რადიოოპერატორები.

დეკემბერში ფორმა მოგვცეს და ყაზანის¹⁷ გარეუბანში გაგვავაზვნეს გვარდიის ნაღმტყორცნების განყოფილებაში, მე რიგითი ვიყავი და ომის დასრულებამდე დავრჩი რიგითი. ჩვენ სავლეთ სტალინგრადის ოპერატორები ვიყავით და მინდვრებში კაბელები გაგვყავდა. ტელეფონზე მთელი დღის მორიგეობა გვქონდა, 24 საათი უნდა გაგვეტარებინა.

თუ კაბელი სადმე გაწყდებოდა ჩვენ უნდა მივსულიყავით იმ ადგილას, სადაც ის იყო დაზიანებული და გადაგვება. კაბელი ჩვენთვის ძვირფასი იყო, ის ყოველთვის გვაკლდა. ამიტომ, როცა რაზმი სხვა ადგილას გადავიდა, კაბელს დავახვევდით და თან მიგვქონდა.

ჩვენმა პოლკმა მონაწილეობა მიიღო სტალინგრადის მახლობლად გერმანიის

¹⁶ საბჭოთა სამხედრო ქალაქი მოსკოვიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით დაახლოებით 1500 კილომეტრში.
¹⁷ თათარსტანის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქი



ჯარების განდგურებაში. ხოლო, თავად ქალაქი პრაქტიკულად გაანადგურეს გერმანელებმა. სტალინგრადიდან 13 კილომეტრში ვიყავით განლაგებული. ჩვენ იქ 7 თვე გავატარეთ – სტალინგრადის კამპანიის მთელი პერიოდი. მეთაურებმა შეიმუშავეს ოპერატიული გეგმა და მალულად გადაიყვანეს იქ 10 ჯარი. ჩვენ დავინწყეთ შეტევა 1942 წლის 19 ნოემბერს. არმიის ოპერატიულ განკარგულებაში იყო ჩვენი მსგავსი ნაღმტყორცნებიანი რამდენიმე პოლკი.

1943 წლის 2 თებერვალს გერმანული ძალები სტალინგრადის მიდამოებში დამარცხდა. სტალინგრადის ბრძოლის შემდეგ ჩვენი პოლკი, როგორც გვარდიის ნაღმტყორცნების დივიზიის ნაწილი, გაგზავნეს მოსკოვში, ხელახალი შეიარაღების შესავსებად. ჩვენი პოლკი სრულად შევსებული და კარგად შეიარაღებული იყო. კურსკში გაგვავაზვნეს. იგი გამოიყვანეს დივიზიიდან და ცალკე პოლკად წავიდა ბრძოლებში. ჩვენი ჯარი კურსკის ოპერაციისთვის ემზადებოდა.

იქ ჩავედით 1943 წლის, მარტის ბოლოს. მასობრივი ბრძოლები დაიწყო 1943 წლის 5 ივლისს. ალბათ ვიცოდით, რომ წინ სასტიკი ბრძოლა გველოდა. პოლიტიკურ გაკვეთილებზე გვითხრეს მოახლოებულ ოპერაციებსა და მის ამოცანებზე. გაცნობიერებული გვქონდა სხვა პრობლემები არსებული ვითარება. ეს კიდევ უფრო სასტიკი იყო, ვიდრე სტალინგრადის ბრძოლა, მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა.

კურსკის ბრძოლის შემდეგ დამაჯილდოვეს მედლით, სამხედრო დამსახურებისთვის. 1943 წლის შემოდგომაზე მივიღე ბრძანება, სადაც ეწერა რომ მე გამოვიჩიეოდი დისციპლინითა და მამაცობით

¹⁸ შიფრი არის ალგორითმი ჯარში დაშიფვრის ან გაშიფვრის შესასრულებლად

კურსკის შემდგომ სტალინგრადის ოპერატორის ნაცვლად რადიოოპერატორი ვიყავი, სადაც ხელმძღვანელებთან კავშირს ვამყარებდი. ბატარეის მეთაურს ჰქონდა კომუნიკაცია დივიზიის მეთაურთან, დივიზიის მეთაურს ჰქონდა ურთიერთობა პოლკის მეთაურთან და ა.შ.

ვემსახურებოდი საარტილერიო ინსტრუმენტულ დაზვერვას, რომელიც აკვირდებოდა მოწინააღმდეგეს და არეგულირებდა ცეცხლის გახსნას. ყველა ეს მონაცემი გადაიცემოდა დაშიფრულად რადიოოპერატორების¹⁸ საშუალებით. ჩვენ არ ვიცოდით ამ კოდის შიფრი. ჩვენ გადავედით დასავლეთისკენ – ბელორუსიაში. ჩვენ გავათავისუფლეთ ქალაქი ნოვოზიბკოვი ბრიანსკის ოლქში და გომელთან შეგვაჩერეს. ადგილის განმტკიცებისათვის ვიბრძოდით. 1944 წლის ივნისში, ჩვენ გავათავისუფლეთ მთელი ბელორუსია. დასავლეთ ბელორუსიიდან პოლონეთში წავედით.

ჩემი წინა ხაზზე გამოცდილება ფრონტზე დასრულდა, პოლონეთის ქალაქ ბელოსტოკში. მე და ჩემი კოლეგები, რადიოოპერატორები სადამკვირვებლო პუნქტისკენ მივიდოდით და მე ნაღმს დავაბიჯე ფეხი. მე ვიყავი ერთადერთი, ვინც დაზარალდა აფეთქებისაგან. ჩემმა ამხანაგებმა ამიყვანეს. ვიღაცამ მანქანა მოიყვანა და სამედიცინო ბატალიონში გადამიყვანეს. 40 წუთში საოპერაციო მაგიდაზე ვიყავი. ფეხი მომკვეთეს. რამდენიმე დღე გავატარე სამედიცინო ბატალიონში და შემდგომ გადამიყვანეს თბილისში, სამხედრო ჰოსპიტალში. ბელოსტოკიდან თბილისში ჩასვლას 13 დღე დასჭირდა. 6 თვე გავატარე საავადმყოფოში. დროებითი ხელოვნური კიდური ჩამისვეს და მასწავლეს ხელოვნური კიდურით სიარული. 1945 წლის თებერვლის ბოლოს გამომწერეს საავადმყოფოდან და 1945 წლის 1 მარტს დავბრუნდი მოსკოვში.

ლარისა შიჰმანი

→ centropa.org/en/biography/larisa-shyhman

ლარისა დაიბადა კიევში, 1925 წელს, მრავალრიცხოვან ებრაულ ოჯახში. მას ბუნდოვანი მოგონებები აქვს 1932-33 წლების შიმშილობის შესახებ. ომის დაწყებისას ის ოჯახთან ერთად გაგზავნეს კონსტანტინოვოში. შემდეგ კი უსაფრთხოების გამო გადავიდა აქტიუბინსკში, სადაც რადიოოპერატორობას სწავლობდა.

ეს მისთვის რთული პერიოდი იყო, საბოლოოდ ბაქოში მსახურობდა, თუმცა იგი ისევ კიევში გადაიყვანეს. ღარიბი და ავადმყოფი ოჯახის გამო ლარისა სწავლას ვეღარ დაუბრუნდა. მან გაიცნო მიშა და მასზე დაქორწინდა, რომელთანაც ორი ვაჟი შეეძინა.

მიშა ერთ-ერთი თანამშრომელი იყო, რომელიც გაგზავნეს ჩერნობილში დასახმარებლად, რადიაციის დროს. ის მოგვიანებით გარდაიცვალა კანის მელანომით. მისი უმცროსი ვაჟი მეუღლესთან ერთად ემიგრაციაში წავიდა ისრაელში, მაგრამ ლარისამ მთელი ცხოვრება კიევში გაატარა.

“ეს მე ვარ, ლარისა შიჰმანი. ფოტო გადაღებულია შვებულების დროს, სოხუმში 1980 წელს, ჩემს ქმართან, მიშა შიჰმანთან, ერთად.

1945 წელს სამუშაოდ წავედი ჟულიანის აეროპორტში რადიოოპერატორად. მიშას “გეოფისპრიბორში” აფასებდნენ, იქ დიდხანს მუშაობდა. თავიდან ტრენინგის ინსტრუქტორი იყო, თუმცა დეტალები არ ვიცი. შემდეგ გადაიყვანეს დიზაინის ოფისის განყოფილებაში. მიშა თანხას კარგად გამოიმუშავა. მან თავისი გამოგონების განხორციელებისთვის მიიღო პრემია და ვერცხლის მედლითაც კი დააჯილდოვეს. ის იყო სადურგლო და შემდეგ, ელექტრონული აღჭურვილობის სპეციალისტი, იარაღებს აკეთებდა. ჩემ ქმარს კოლეგებიც კარგად ექცეოდნენ და არა მგონია, ეროვნების გამო რაიმე ზეწოლა ჰქონოდა.

მას უნდოდა სამსახური დამეტოვებინა და სახლში ვყოფილიყავი. მაგრამ მისმა დედამ მითხრა, რომ სამსახური შემენარჩუნებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მთელი ცხოვრება წინსაფარს და ჩუსტებს ვერ გავიხდიდი. მეც წამდვილად მინდოდა სამსახურში დარჩენა. მომწონდა ჩემი კოლექტივი, მსიამოვნებდა იქაურობა და ჩემს კოლეგებსაც მოვწონდი და პატივს მცემდნენ. ასე რომ, 1961 წლის 17 მარტს ჩემი მეორე ვაჟის, გენადიის დაბადების შემდეგ, მე დავბრუნდი სამუშაოდ აეროპორტში და პენსიაზე გასვლამდე იქ ვმუშაობდი.

1986 წლის 26 აპრილს ჩერნობილში აფეთქება მოხდა. მართალია, მათ არ აცნობეს ხალხს ამ აფეთქების

შესახებ, თუმცა ჩემს ქმარმა იცოდა, რადგანაც მუშაობდა იზოტოპებით და ჰქონდა სპეციალური მოწყობილობები.

ჩემი ქმარი მალევე წავიდა ჩერნობილში. იქ ხალხი გაგზავნეს, თუმცა ის თავისი ნებით წავიდა 30 აპრილს. მისი თქმით, როდესაც ეს განყოფილება აფეთქდა, იქ მოხუცები უნდა წასულიყვნენ, რადგანაც მათ თავიანთი ცხოვრება უკვე გავლილი ჰქონდათ, ხოლო ახალგაზრდები კი შორს უნდა ყოფილიყვნენ. მე ამ დროს მოსკოვში ვიყავი და არ ვიცოდი ამის შესახებ. მიშა იქ თავისი აპარატებით წავიდა რადიაციის გასაზომად. მას უკან მაღაროელები მისდევდნენ! ის მათ მიუთითებდა სად შეეძლოთ სიარული, სად უნდა გაქცეულიყვნენ ან საით უნდა გადაეხვიათ... რა თქმა უნდა, მას ყველა ემორჩილებოდა.

1992 წელს ის გარდაიცვალა კანის მელანომით. სიკვდილამდე არ ფუნქციონირებდა, მეტყველების ორგანოებიც კი. ასე რომ, მე მარტო ვარ... 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩემი ცხოვრება თითქმის არ შეცვლილა, უკვე პენსიონერი ვარ.. ვკითხულობ წიგნებს და ვუყურე ტელევიზორს. ბევრი მეგობარი მყავს და ხშირად ვიკრიბებით, გვაქ ერთგვარი “კლუბი 30 წელს გადაცილებულთათვის”. ბევრს ვიცინით, ჩვენ აღვნიშნავთ ებრაულ და სხვა დღესასწაულებს. მათთან კარგი ურთიერთობა მაქ და არ მაინტერესებს ეროვნება. მე მაქვს მცირე პენსია. დიდად არ გავდივარ გარეთ. ოპტიმისტი ვარ, სხვანაირად არც შეიძლება. ცხოვრება მოკლეა!



ლარისა შიჰმანი მეუღლესთან მიშა შიჰმანთან ერთად 1980 წელს (წყარო: Centropa)

დანიელ ბერტრამი

→ centropa.org/en/biography/daniel-bertram

დანიელ ბერტრამი დაიბადა 1920 წელს, კრაკოვში.ომი დაწყების დროს დანიელი ლვოვში გაიქცა. საქართველოს ბანაკში წასვლამდე, ის რუსებმა დაიჭირეს და საბჭოთა შრომით ბანაკში¹⁹ გაგზავნეს. დანიელი ამ ბანაკიდან 1941 წლის სექტემბერში გაათავისუფლეს, თუმცა ომის დასრულებამდე საქართველოში გაჩერდა. შემდეგ დაბრუნდა კრაკოვში, სადაც აღმოაჩინა, რომ მისი ოჯახის უმეტესობა ჰოლოკოსტის დროს მოკლეს. დროებითი სამსახურების შემდეგ, დანიელი მუშაობდა ბულალტერად 1985 წლამდე, პენსიაზე გასვლამდე. ის დაქორწინდა რენატა ზისმანზე და განაგრძო ებრაულ დღესასწაულების აღნიშვნა და ტემპელის სინაგოგაში სიარული.

“ ორი რუსი ჯარისკაცი nkvd²⁰-დან მიგვიძღვებოდა დატენილი თოფებით. წაგვიყვანეს ყაზარში. იქ სამი კვირა ვიყავით, აბაზანის გარეშე. კარვებში გვეძინა. არ ვიცოდით თუ, რამდენ ხანს ვიქნებოდით. მასხოვს ერთხელ როცა მეძინა, ერთმა ბიჭმა, სოსნოვიციდან, საათი მომპარა. მას შეეძლო ჩემი საფულედან ფული მოეპარა, რადგანაც ვენდობი და არ ვამოწმებდი. არასდროს მიფიქრია, რომ ვინმე გამძარცვავდა.

მალევე ის დაგვემშვიდობა, რადგანა სხვა ჯგუფთან ერთად მიდიოდა. სამი კვირის შემდეგ ჩვენც წაგვიყვანეს სატვირთო მანქანით, ლუოუსის სადგურში. არ ვიცოდით სად მივყავდით. პირუტყვის მანქანებში ჩაგვსვეს, სადაც მხოლოდ დასაწოლი ნამუხის ლეიბი და პანაწინა გისოსიანი ფანჯარა იყო. საშინელად ცხელოდა, მაგრამ დღითიღვე ცივდებოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ჩრდილოეთით მივდიოდით. დღეში ერთხელ გვანვდიდნენ საჭმელს. ისინი გვაძლევდნენ მრგვალ პურს, რომელიც ოთხს უნდა გაგვეყო. ლანჩის დროს, ჩვენ შორის რომელიმე, საცვლებით გამოდიოდა და ჯამით ლაფშა მოქონდათ.

ექვსი დღე ვიმოგზაურეთ და რიბინსკში ჩავედით. გარეთ გამოსვლის თანავე ბანაკისთვის მოგვცეს ტანსაცმლის

19 საბჭოთა შრომითი ბანაკები პოლიტიკური და კრიმინალური პატიმრებისთვის
20 საბჭოთა საიდუმლო სამსახური, მოგვიანებით KGB და ახლა FSB



დანიელ ბერტრამი 1954 წელს (წყარო: Centropa)

კომპლექტი : მუქი ლურჯი ტანსაცმელი , ქამარი და მუქი ლურჯი ქუდი. გვაგვანებდა, შემდეგ კი დალაქთან წაგვიყვანეს, რომელმაც თავი გადაგვპარსა. მაშინ, როცა მე დალაქთა ვიყავი, დანარჩენები წავიდნენ გენერლის სიტყვით გამოსვლაზე. მან ისაუბრა ჩვენი მუშაობის ვალდებულებაზე და დისციპლინაზე. ეს იყო პარასკევი დღე. გემზე ჩაგვსვეს და გავცურეთ შექსნაზე(sheks-na). შექსნა მიედინება ვოლგაში. გემზე ჩვენს შორის რამდენიმე ღვთისმოსავი ებრაელი იყო. მათ სულაც არ ადარდებდათ, რომ ჩვენ ბანაკში მივდიოდით, მხოლოდ ლოცულობდნენ. შემდეგ, ბანაკში გაგვაცილეს, რომელსაც ტურგენევი ერქვა. ტურგენევი იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ცდილობდნენ იუდაიზმის ფორუმის(minyan) ჩამოყალიბებას. ასე რომ, მათ მეც შემეყვანეს და მომცეს ლოცვის წიგნი, რომელიც არ მქონდა.

ჩხრეკვისას, წაიღეს ჩემი ლოცვის წიგნი და ტეფილინი²¹. მაგრამ ჩემი ტეფილინი ბატუ (tefillin batu) დამიტოვეს , ეს არის ჩანთა ტეფილინისთვის, რომელიც დღემდე მაქვს. იქ იყო ერთი პროფესიონალი რუსი, რომელმაც იპოვა ჩემი ტეფილინი და იქიდან ამოღებული ლოცვის წიგნი ხელიდან გამომგლიჯა. იომ-კიპურზე ლოცვის საშუალებაც კი არ მოგვეცა. 'არ გაქვთ უფლება ილოცოთო!' მაგრამ ერთმა მოხუცმა მოახერხა სიმტკიცის შენარჩუნება და ლოცვა. ხოლო ჩემმა მეგობარმა კი, ვისთან ერთადაც საქართველოში ვიყავი შემდეგ კი ბანაკებში, თავისი ტეფილანის მუხლებს ქვეშ დამალავა შეძლო. რამდენიმე თვე ტურგენევიში გავატარეთ.1940 წლის 20 ივლისსკი უკან გამოგვიშვეს.

აქ მიმდინარეობდა უზარმაზარი პროექტი: უამრავი რუსი²² იყო, რომლებიც ჰიდროელექტროსადგურს აშენებდნენ. ჩვენ კი ვოლგასთან ახლოს, ვამაგრებდით არხსადენს. 1941 წლის 4 სექტემბრის ერთ საღამოს, შევიტყვეთ სიკორსკის ამნისტიის შესახებ. მაისკის²³ ხელშეკრულების შესახებ მაშინ არაფერი ვიცოდით. მეორე დღეს ანბანური თანმიმდევრობით დაგვიბარეს სარეგისტრაციო კომიტეტში. მკითხეს, სად მინდოდა წასვლა, კოკანდში თუ ტაშკენტში, უზბეკეთში? მე ასტრახანში მინდოდა, რადგან იქ რუსული მრეწველობა იყო. მაგრამ კრაკოველმა მეგობარმა მითხრა, რომ კრაკოველები საქართველოში მიდიოდნენ და მეც იქ უნდა წავსულიყავი.

ამიტომ წავედი საქართველოში: სადმე, ასე ვთქვათ, თავისუფალ ადგილას. საუბარი დასავლეთზე არ ყოფილა, მხოლოდ მაშინდელ სსრკ-ზე, სადაც ყველას შეეძლო წასულიყო, თუმცა საბჭოთა სულ მცირე 100 კილომეტრი უნდა ყოფილიყო, მნიშვნელოვნად შორს ფრონტიდან. ცენტრალურ ქალაქებში არ გვაძლევდნენ წასვლის უფლებას. მათ არ სურდათ ხალხის დიდი შემოდინება, ამიტომ შემოგვთავაზეს ქუთაისში წასვლა [დღევანდელი საქართველო] და სწორედ ეს ავირჩიე. ასე წავედი საქართველოში, ჩამოვედი თბილისში. ომამდე

21 მართლმადიდებელი ებრაელები ყოველ დღის ლოცვაზე ატარებენ ტეფილინს. ეს არის ტყავის სალოცავი თასები. მათზე მიმაგრებულია პატარა, კუთხოვანი კაფსულები. მათში არის პერგამენტის ნაჭრები ბიბლიური ტექსტებით.
22 რუსული დამამცირებელი ტერმინი რუსებისთვის
23 სიკორსკი-მაისკის ხელშეკრულება იყო, ხელშეკრულება საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის, რომელიც გაფორმდა ლონდონში 1941 წლის 30 ივლისს. მისი სახელი მომდინარეობს მისი ორი ყველაზე ცნობილი ხელმოწერიდან: პოლონეთის პრემიერ მინისტრის ვლადისლავ სიკორსკისა და საბჭოთა კავშირის ელჩის გაერთიანებულმა. სამეფო, ივან მაისკი რომ ჰაშანა არის ებრაული ახალი წელი, ჩვეულებრივ სექტემბერში ან ოქტომბერში

მას ტფილისი ერქვა, შემდეგ კი თბილისი.

მისვლისთანავე, სადგურიდან პირდაპირ, სალოცავისკენ წავედი. ის არ არის სინაგოგა, არამედ ვინმეს სახლის პატარა ოთახში მოწყობილი სალოცავი. იქ კიევიდან გადასახლებული გაქცეული ებრაელები იყვნენ. აღმოჩნდა, რომ როდესაც მივედი, იქ იყო რომ ჰაშანა²⁴. დილა-საღამოს ჩვენ სალოცავში მივდიოდით. პირველ საღამოს, როცა ჰაშანამ დაიწყო ლაპარაკი, არ ვიცოდი, რას ამბობდა. მეგონა იდიში ენაზე ლაპარაკობდა და ამიტომ ვერ ვიგებდი, თურმე ქართული ყოფილა. ის მოუწოდებდა ყველა ქართველ ებრაელს, მოეხედათ ბანაკიდან გამოსულებისთვის. მათ სადილზე დაგვკატიყეს და პირველ ღამე გაგვათენებინეს.

საქართველოში, ქართველმა ქალმა მკითხა: მართალია, ებრაელებს ხოცავენო? მე ვუპასუხე, რომ არაფერი ვიცოდი. ლვოვიდან ორმა ჩამოსულმა კაცმა თქვა, ერთს ზელმანოვიჩი ერქვა, მეორეს გუტმანი, რომ იქ, გეტოებში, შიმშილობა იყო. არ ვიცი, როგორ მოხვდნენ ისინი ჩვენთან. მაგრამ ჩვენ ყოველ შაბათს შუადღეს მივდიოდით ამ ერთ სალოცავ სახლში. ერთ-ერთმა ამ კიეველმა ებრაელებმა გვითხრა ტრაგედიის შესახებ, რომ იმ დროისთვის ხალხს ხოცავდნენ. მან უკვე ყველაფერი; ალბათ რუსული ან ქართული გაზეთი ჰქონდა წაკითხული, ან ქართველი ებრაელებისგან შეიტყო, მაგრამ ჩვენ ნამდვილად არ გვჯეროდა ამის და არ ვაქცევდით ყურადღებას, უბრალოდ ვუსმენდით.

ასეა მთელ მსოფლიოში, გარდა პოლონეთისა. იქ სინაგოგაში ძალიან ცოტა ხალხი დადიოდა. სინაგოგა ფუფუნებდ ითვლებოდა, რადგანაც ხალხი შრომით იყო დაკავებული, რათა პურის საყიდლად ფული ეშოვათ. სინაგოგაში ვინც დავდიოდით გვყავდა მასპინძელი, რომელიც ყოველ შაბათს ან ყოველ დღესასწაულზე სახლში გვკატიყებოდა. ჩვენ ვჭამდით ქართულ ებრაული წესით მომზადებულ საჭმელს(kosher). ლანჩის დროს გვქონდა ფაფა და სიმინდის ფანტელი.

იყო დრო, როცა საუბმისთვის ფულიც არ მქონდა. მთელი თვე ასე გავატარე, და შემდეგ დაამარწმუნეს გამეყიდა ჩემი ტისო²⁵ (tissot), რომელიც მამაჩემმა მაჩუქა, როცა სკოლა დავამთავრე. გავყიდე, 5000 მანეთი მიხდოდა, მაგრამ მხოლოდ 3400 ან 3500 მივიღე. ჩოტა ფული ჩემს ორ ბინადარს მივეცი ნავთობის საყიდლად, რადგანაც ისინი დამეხმარნენ გაყიდვაში.

ვმუშაობდი ტანსაცმლის ფაბრიკაში. "shveyna fabrika", ანუ "კიევის ტანსაცმლის ქარხანა". დირექტორს მაჭარაძე ერქვა, მეორეს კი კარიკაშვილი. ერთი წელი იქ ვმუშაობდი; შემდეგ შრომის ბატალიონში გადამიყვანეს. იმ შრომის ბატალიონში ექვსი კვირა ვიყავი, სადაც უმძიმესი პირობები იყო. ასეთი პირობები დედამიწაზე არცერთ ციხეს არ აქვს. ექვსი კვირა ცარიელ მიწაზე მეძინა; ეს გადაფარებული ქოხიც კი არ იყო. ასე რომ, ექვსი კვირა გავატარე ტანსაცმელში, ექვსი კვირა მიწაზე, ექვსი კვირა აბაზანის გარეშე, ტილებთან ერთად. არ ვიცოდი, რამდენ ხანს დავრჩებოდი იქ, რადგან სამუშაო მძიმე იყო და საჭმელსაც ძალიან ცოტას გვაძლევდნენ. დავუძღურდი, სიარულიც აღარ შემეძლო, როგორც მოხუცს. საქართველოში ვიმყოფებოდი იმ დროიდან, როცა 1941 წლის 4 სექტემბერს ბანაკიდან გაგვათავისუფლეს, თითქმის ომის დამთავრებამდე.

ომი დამთავრდა 1945 წლის 9 მაისს, მე კი საქართველო 1945 წლის 22 აპრილს დავტოვე. წავედი, მაგრამ ამ დროისთვის მაინც არ გვაძლევდნენ წასვლი უფლებას! ჩემი მეზობლები წავიდნენ მაგრამ უკან დაბრუნდნენ. ისინი უკან გამოაბრუნა nkvd-ის ჩინოსანმა, რადგან შემოწმების დროს მატარებელში მათ ჰკითხა: „სად მიდიხარ?“ და მათ უთხრეს: „პოლონეთში“. „დაბრუნდი, არ არსებობს პოლონეთი!“ ისინი დაბრუნდნენ. შემდეგ კი ჩემმა მეზობელმა, მილიციიდან აიღო ჩემთვის და თავისთვის საშვი, საოჯახო საქმეებზე სამოგზაუროდ. ჩვენ მხოლოდ ორი რკინიგზის ბილეთი ავიღეთ: ერთზე უნდა წავსულიყავით სლავუტაში (უკრაინა), სლავუტაში კი ეს ბილეთი უნდა გადაგვეგდო და კამენეც პოდოლსკისკენ წავსულიყავით. სამი კვირა ვმოგზაურობდით, ყოველ მეორე დღეს ვიცვლიდით მატარებელს, რადგან სხვა გზა არ იყო. ძალიან ძნელი იყო მატარებელში ასვლა, რადგანაც გამცილებელი ხომალდზე იდაგა და ხალხიც ყველგან იყო. ჩვენ კი როგორ უნდა ჩავსულიყავით, ბურგჩანთით, ის კი პორტფელით?

25 Tissot- არის საათების ბრენდი.
26 პოდგორზე იყო ქალაქი კრაკოვის მახლობლად, ახლანდელი კრაკოვის რაიონი
27 გერმანიის განადგურების ბანაკი პოლონეთში, სადაც ებრაელები მოკლეს დიზელის გაზის და მოგვიანებით Zyklon B ვირთხის შხამის დახმარებით.

თუმცა, ის ჩემი მეზობელი, სათვალთ და, წვერით, ცბიერი კაცი იყო. "ბატონო ამხანაგო"- თქვა და მოკავშირესავით ჩაუკრა თვალი. ასე რომ გამყოლი სრულიად აღელდა, რათა ფულის აღებას აპირებდა და როდესაც ვაგონში შეგვიშვა, მას არაფერი მიუცია მისთვის. ის სხვა გამყოლებთანაც იმავეს აპირებდა.

თბილისში ჩემი საფულე მოიპარეს, სადაც მქონდა 90 მანეთი, სკოლის პირადობის მოწმობა, ჩემი მივლინების საბუთები ბანაკიდან და დაახლოებით სამი-ოთხი წერილი მშობლებისგან. მილიციის სადგურზე კი, სადაც ქურდობის შესახებ ვაცნობე, მე და ჩემი მოწმე საკანში ჩავგვსვეს: მთელი ღამე, ახალგაზრდა ქართველ კრიმინალებთან ერთად. ბოლოს საბაჟო გაიხსნა, უფროსები ჩამოვიდნენ სიით და გამოგვიშვეს ყველა. ჩემს მოწმეს ადრე გამოუშვებდნენ, დილის 8 საათზე. მაგრამ მე შუადღემდე დამაყოვნეს.

როგორც კი გავთავისუფლდი, ავიღე ჩემი ნივთები. გარეთ წვერიანი ბიჭი ლამესდორფი და ჩემი მომავალი პარტნიორი მელოდნენ და ჩვენ გავემგზავრეთ.

ეს ერთადერთი ფოტოა, რაც საქართველოდან მაქვს ჩამოტანილი. ფოტოზე მარცხნიდან ზედა რიგში მე ვარ, ასვე ჩემთან ერთად არიან აბრაამ ლამესდორფი, დავიდ კოს კლაჯმანი და კაცი, რომლის სახელიც არ მახსოვს. ფოტო გადაღებულია 1942 წლის 30 აგვისტოს ქუთაისში. საქართველოში რამდენიმე მეგობარი მყავდა. ისინი კარგი ხალხი იყვნენ, თუმცა ცოტა ეგოისტები. ამ ფოტოზე ყველაზე ასაკოვანი კაცი, სათვალეებში, ლენინის მსგავსი წვერით, პოდგორზედან²⁶ იყო. ის ხელოვანი, კომპოზიტორი კაცი იყო. ყველაფრის კეთება შეეძლო რასაც კი ხელს მოკიდებდა. დამპირდა, რომ მისი პარტნიორი ვიქნებოდი. ეს იყო აბრაამ ლამესდორფი. იგი გარდაიცვალა შვილთან ერთად, სავარაუდოდ ბელბეკში²⁷. ჩემს მეორე მეგობარს დავიდ კოს კლაჯმანი ერქვა. ორი სახელი ჰქონდა, არ ვიცი რატომ; ვფიქრობ, ის იყო ვაჭარი. მას ნათქვამი ქონდა, რომ ბრიგლიდან იყო. მას საიდუმლო ჰქონდა: ჰყავდა მეგობარი ქალბატონი, რომელთანაც იყო მთელი დღე სამსახურის შემდეგ. ჩვენ თვალს არ ვადევნებდით ის წავიდოდა თუ არა სინაგოგაში, მაგრამ რადგანაც ეს იყო პატარა ქალაქი, არასასიამოვნო იყო არაებრაელის ნახვა. მითუმეტეს, რომ შაბათობით და სხვა დღესასწაულებზე იმ მეგობართან ერთად დავდიოდი სინაგოგაში.



დანიელ ბერტრამი, აბრაამ ლამესდორფი, დავიდ კოს კლაჯმანი და უცნობი მამაკაცი (წყარო: Centropa)

მაიერ ტულჩინსკი

→ centropa.org/biography/meyer-tulchinskiy

მაიერი დაიბადა 1924 წელს, კიევში. ის მშობლებთან ერთად ცხოვრობდა, რომლებიც საუბრობდნენ იდიში ენაზე, თუმცა ებრაულ ტრადიციებს არ მისდევდნენ. მიუხედავად იმისა რომ მას ახსოვს 1933 წლის შიმშილის და პურის რიგების პერიოდი, კიევში ეს პრობლემა არც თუ ისე მძიმე იყო როგორც სხვა რეგიონებში.

თავდაპირველად მათთვის შემანუხებელი არ ყოფილა ანტისემიტური დისკრიმინაცია, მანამ სანამ 1939 წელს არ დახურეს ებრაული სკოლები. ომის დაწყების დროს მთელი ოჯახი ევაკუაციით უბბეკეთში გადავიდა, სადაც ხალხი შიმშილობდა. მალევე ის თბილისში გადავიდა, სადაც გაგზავნეს ჯარში და შემდგომ ფრონტზე გაიწვიეს. 1945 წელს უნგრეთში დაიჭრა, საავადმყოფოდან გაწერის შემდეგ დაბრუნდა კიევში, სადაც ჩაირიცხა კოლეჯში. 1966 წელს დაქორწინა მედაზე, ვისთანაც შეეძინათ ქალიშვილი.

კიევში რობა დაქორწინდა ლავრენტი ქართველიშვილზე, რომელიც ქართველი და საბჭოთა პარტიული ხელისუფლების წარმომადგენელი იყო. მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა კიევში. 1910-1916 წლებში კომერციულ ინსტიტუტში სწავლის პერიოდში ჩართული იყო მიწისქვეშა პარტიულ საქმიანობაში. 1917 წელს გახდა ბოლშევიკური პარტიის კიევის კომიტეტის წევრი, ხოლო 1918 წელს - მიწისქვეშა ბოლშევიკური ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი, მთლიანი უკრაინის დროებითი კომიტეტის წევრი. 1921-1924 წლებში იყო უკრაინის ბოლშევიკური პარტიის კიევის გუბერნიის კომიტეტის პირველი მდივანი. ის ახლა თბილისში ცხოვრობს და პენსიაზეა. მან მიიღო ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი და გახდა პროფესორი. ის იყო თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ლექტორი. ცოლად შეირთო ქართველი ქალი დოდოლი, მათ რთული ცხოვრება ჰქონდა. 1930-იან წლებში მისი მამა საქართველოში განათლების მინისტრის მოადგილე იყო. 1938 წელს დააპატიმრეს. ეჭვმიტანილი იყო ანტირევოლუციურ საქმიანობაში. დედამისიც გარდაცვლილი იყო. დოდოლიმ მშობლები 14 წლის ასაკში დაკარგა.

მამამისის დაკავების შემდეგ პოლიციელებმა ის ბინიდან გამოიყვანეს, კარი ჩაკეტეს და უთხრეს: "შენ კი, გოგო, წადი!" დოდოლის თავშესაფარი შორეულ ნათესავებთან უნდა ეძია თუმცა მათ ძალიან აწუხებდათ „ხალხის მტრის“ ქალიშვილისთვის თავშესაფარს მიცემა. დოდოლის ძლიერი ნებისყოფა ჰქონდა, რაც მას ყველა გაჭირვების გადალახვაში ეხმარებოდა. საშუალო სკოლა დაამთავრა

თბილისში და ჩაირიცხა თბილისის კონსერვატორიის ვოკალის ფაკულტეტზე. მოგვიანებით იგი გახდა ამ კონსერვატორიის მასწავლებელი. მას სასტიკად სძულდა საბჭოთა რეჟიმი. 1950-იან წლებში, როდესაც მამამისს სიკვდილის შემდეგ უფლებები აღუდგინეს, დოდოლიმ ყველა ღონე იხმარა, რომ დაებრუნებინა მათი კუთვნილი მთელი ქონება, რომელიც 1938 წელს ჩამორთმეული ჰქონდათ.

“ დედაჩემი და ფანია ოქტომბრის რევოლუციიდან 5-6 წლის შემდეგ თარაშჩადან თბილისში გადავიდნენ და იქ დასახლდნენ. თბილისში მან იქორწინა პოლონელ კაცზე, სახელად კალნიცკიზე, რომელიც იყო სარწყავი ინჟინერი. ფანია 1937 წელს დააპატიმრეს და 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს „ხალხის მტერთან“, რობას ქმართან კონტაქტისთვის, რომელიც ხშირად სტუმრობდა ნათესავებს თბილისში. გარდა ამისა, მას ბრალი ედებოდა ბიბლიოთეკაში აკრძალული საბჭოთა მწერლების წიგნების უკან დაბრუნებაში. მას უფლება ჰქონდა მიეწერა ახლობლებისთვის და ეცნობებინა, თუ რაზე იყო პასუხისმგებელი. ფანია 1939 წლამდე იმყოფებოდა პერმის რეგიონში მდებარე ბანაკში.

რობა, რომელიც სამრეწველო აკადემიაში სწავლობდა, მივიდა ხელისუფლებასთან და კითხა: „რატომ დააკავეთ? თუ ასეა მეც უნდა დამიჭიროთ „ხალხის მტერთან“ ურთიერთობისთვის. რაც არ უნდა უცნაურად ჟღერდეს, მათ გაათავისუფლეს და რეაბილიტაცია გაუკეთეს ფანიას და შესთავაზეს კიდევ კომუნისტურ პარტიაში შესვლა, მაგრამ ფანიამ უარი თქვა. რამდენიმე ხნის შემდეგ დაინიშნა თბილისის რუსული სკოლის დირექტორად.

მას შემდეგ, რაც ფრონტიდან თბილისში დაბრუნდი, მე და ფანია ვესტუმრეთ მის ყოფილ სტუდენტებს, ვნახე თუ როგორ პატივისცემით ეპყრობოდნენ მას. მას ორი შვილი ჰყავდა. მისი ვაჟი, ალექსეი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი გახდა. ის როდესაც სრულწლოვანი გახდა მოსკოვში გადასახლდა. მისი ქალიშვილი მედია ქართველ კაცს გაჰყვა ცოლად, თუმცა მოგვიანებით გაშორდა. ის ახლა თბილისში ცხოვრობს.



რივა ფრანკოს თეატრის მახლობლად პატარა ოთახში, გაჭირვებაში ცხოვრობდა. 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა კიევში. მასხოვს, მას ტანსაცმელიც კი არ ჰქონდა პასპორტისთვის სურათის გადასაღებად, ამიტომ თეატრის გასახდელიდან ბლუზა ისესხა. რივა უშუალო და პატიოსანი ქალი იყო. ცხოვრობდა უკრაინელ მამაკაცთან, რომელთანაც ქორწინება არ ქონია დარეგისტრირებული. მათ შვილი არ ჰყავდათ. ომის დროს თბილისში ევაკუირებული იყო. რივა ომის დროს მუშაობდა თბილისის მახლობლად მდებარე შრომით პენიტენციალურ დაწესებულებაში, რეპეტიტორად, ხოლო ომის შემდეგ, თბილისის რკინიგზის სადგურის სამთავრობო ოთახში მიმღებად. ეს იყო პრივილეგირებული თანამდებობა: ამ ოთახში მხოლოდ დეპუტატებს და მალაჩინოსნებს უშვებდნენ. რივა რამდენჯერმე ეწვია კიევს. მისი ერთ-ერთი ვიზიტის დროს მე მასთან ერთად წავედი თეატრში და გამაოგნა წამყვანი მსახიობების მიერ რივას შექება. ისინი აღფრთოვანებული იყვნენ მისი პროფკავშირების ხელმძღვანელობით. ის გარდაიცვალა თბილისში 1974 წელს.

თბილისში მცხოვრები რივა ისევ დაგვეხმარა. ის სადღაც კავკასიაში დასაქმებული იყო ბავშვების შრომითი ბანაკში, დამრიგებლად. მან ჩვენი დახმარება შეძლო, რათა ჩამოვსულიყავით და გვემუშავა ამ ბანაკში. ჩვენ ვიმოგზაურეთ კავკასიაში შუა აზიიდან კასპიის ზღვის გავლით. ბამბის ყანაში მუშაობის შემდეგ მამაჩემს გულის პრობლემა შეექმა. იგი გზაში, შუა აზიაში, ურსაკიევსკოიეს სადგურზე, გარდაიცვალა. იქ ჩუმად დაკრძალეს. თბილისში ჩამოსვლისას, კომუნისტების კოლეჯში ჩავაბარე, სადაც რამდენიმე თვე ვსწავლობდი. მე ჰოსტელში ვცხოვრობდი, დედამ კი ოთახი იქირავა. 1942 წელს გერმანელები მიუახლოვდნენ ზაკავკაზიუს და თბილისში ტოტალური მობილიზაცია გამოცხადდა. 300 000 რეკრუტი წავიდა ფრონტზე, მათ შორის მეც ვიყავი. ყოველი მესამე მათგანი დაიღუპა.



მაიერ ტულჩინსკი 1945 წელს (წყარო: Centropa)

დედაჩემმა თბილისში, საზღვაო ჰოსპიტალში სამედიცინო მედდად დაიწყო მუშაობა. ქართველები დედაჩემს ძალიან კარგად ექცეოდნენ. ფრონტზე წასვლისთანავე იგი სამხედრო განყოფილებაში დარეგისტრირდა, როგორც ფრონტის ჯარისკაცის ოჯახის წევრი და გადავიდა ბინაში, სადაც ომის დასრულებამდე ცხოვრობდა. ეს ჰოსპიტალი მკურნალობდა სამხრეთ ფრონტის დაჭრილ ჯარისკაცებს. დედაჩემი მუდამ მეძებდა საავადმყოფოში მიყვანილ დაჭრილ ჯარისკაცებს შორის. მე მას ვწერდი, მაგრამ ახლა ვფიქრობ, რომ შემეძლო მისთვის მეტი წერილების მიწერაც.

თბილისში ჩავედით, მაგრამ იქ თავს ისე არ ვგრძნობდი, როგორც სახლში. გადაწყვიტეთ დაბრუნება. ჩვენ არავინ გველოდა. ჩვენი საცხოვრებელი ადგილი დანგრეული იყო და თავშესაფარი არ გვქონდა. კიდევ კარგი რომ ჯარში მობილიზებისას პასპორტი შევინახე. მძიმე მომენტი იყო სამხედრო ოფისში.

Imprint

ბროშურა გამოქვეყნდა:

Centropa – Center for Jewish History of the 20th Century e.V.

c/o WeWork

აქსელ შპრინგერ პლაცი 3

20355 ჰამბურგი

ნარმომადგენელი:

მაქსიმილიან ფონ შოლერი, გამგეობის წევრი

საკონტაქტო ინფორმაცია:

ტელ: +49 (0) 163 8436350

E-mail: hamburg@centropa.org

Web: www.centropa.org

რედაქტირება:

იონა ბლენდერი, იულია ორეშინა, თეონა დალაქიშვილი, გულნარა ისმაილოვა, ალექსანდერ შნაიდმესერი, მაქსიმილიან ვონ შოლერი.

რეგისტრაცია:

რეგისტრირებულია გერმანიის რეესტრთა ასოციაციაში

რეგისტრაციის ნომერი: vr 23236

ჰამბურგის სასამართლო ერთეული

დიზაინი:

Alexander von Freedon – LaikaLaika.de

თანამშრომლობით:

Centropa-ს პროექტი "ებრაული

ისტორიის მეხსიერება

კავკასიაში" (ÖPR-411)


ხორციელდება შემდეგ

ორგანიზაციებთან

თანამშრომლობით:



მხარდაჭერილია:



თქვენი შენიშვნები:



იოსებ ლაბარევიჩი რაიცხი საქმროს როლში მუნჯ ფილმში
"ღვთის სახელით", ბაქო 1926 წ. (წყარო: Centropa)